2015 წელი, 5-11 თებერვალი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

ახალი განათლება

№3 (677) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

შიომღვიმის მონასტრის ფრესკა

8 თებერვალი – დავით აღმაშენებლის სსენების დღე

კაცს ორი სახელი ყნდა ჰქონდესო – ამბობს ჩვენი ერი: – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეყსრყლებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდ-ბყნებოვანმა კაცმა – წაიყოლა სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

ილია ჭავჭავაძე
გაზეთი „ივერია“, №17, 1888 წ.

სინას მთაზე განახლებული სამეცნიერო ექსპედიცია

დიდი ხნის წყვეტის შემდეგ განხორციელებული პირველი ექსპედიციით სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კვლევისა და პოპულარიზების ახალი ეტაპი დაიწყო.

გვერდი 2

სასკოლო მზაობა – მშობლებისა და ფსიქოლოგების განსხვავებული აქცენტები

მშობელთა უმრავლესობისთვის წერა-კითხვის ცოდნა ბავშვის სკოლაში ადრე შეყვანის მიზეზია, ფსიქოლოგები აქცენტს სოციალურ, ემოციურ, ინტელექტუალურ მზაობაზე, ასევე მოტორიკის განვითარების დონეზე აკეთებენ. შესაბამისად, ფსიქოლოგების რეკომენდაციებსა და მნიშვნელოვან საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევებზე დაყრდნობით, სასკოლო სწავლების დაწყების ასაკად 6 წელი განისაზღვრა.

გვერდი 3

კულტურული მემკვიდრეობა

სინას მთაზე განახლებული სამეცნიერო ექსპედიცია

ლალი ჯელაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სინას მთაზე წარმოებული სამეცნიერო ექსპედიციის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა. ასევე მოეწყო ფოტოებისა და სინას მთასთან დაკავშირებული ხელნაწერების გამოფენა, რომელსაც მოწვეულ საპატიო სტუმრებთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე გაეცნო.

თამარ სანიკიძე: *„ჯერ კიდევ 2002 წლიდან მიმდინარეობდა მსჯელობა ამ კოლექციის შესწავლასთან დაკავშირებით, მაგრამ იყო გადაუჭრელი საკითხები, ძირითადად, ფინანსურ მხარესთან დაკავშირებული, რომელიც აფერხებდა კვლევებს. 2014 წელს გამოიყო თანხა და ჩატარდა ექსპედიცია, რომელიც ძალიან კარგი შედეგით დაბრუნდა. მოკვლეული მასალის დიგიტალიზაციაზე მიმდინარეობს მუშაობა. ეს ნამდვილად ძვირფასი მასალა იქნება როგორც საგანმანათლებლო, ისე კვლევით და სხვადასხვა მიმართულებებში გამოსაყენებლად. არის კიდევ სხვა მასალა, რომელიც არ არის სინას მთაზე და მიმობნეულია სხვადასხვა ქვეყნებში. 2015 წლიდან სწორედ ამ მასალის შესწავლას გავაგრძელებთ“.*

არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ქართველთა უშორესი სამოღვაწეო ადგილი – სინას მთა, დღემდე ბოლომდე შეუსწავლელი ქართული ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთი უმდიდრესი საცავია, სადაც 2000-ზე მეტი უნიკალური ხელნაწერი ინახება. ბიბლიის მიხედვით, ღმერთი სინას მთაზე გამოეცხადა მოსეს, რომელსაც ისრაელის ხალხი ეგვიპტიდან აღთქმული მიწისაკენ მიჰყავდა და სწორედ აქ გადასცა ათი მცნება. ქრისტიანები ამ მთაზე მე-3 საუკუნიდან დამკვიდრდნენ, ქართველები კი იქ მე-6 საუკუნეში მივიდნენ, მოგვიანებით ქართული კოლონია ჩამოაყალიბეს და ქართველთა უმნიშვნელოვანეს სამოღვაწეო ადგილად აქციეს.

ქართველებმა სინას მთის მონასტრის ტერიტორიაზე საკუთარი ტაძრები ააგეს და დაუცხრომელ მოღვაწეობას შეუდგნენ. ერთ-ერთი ქართული ტაძრის აგება დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სავანეების აღმშენებლობაში. სინას მონასტერში ქართველ მამებს საკუთარი უმდიდრესი და მრავალფეროვანი წიგნსაცავი ჰქონდათ კატალოგით, ანუ წიგნებისა და ხელნაწერების ნუსხით. წიგნსაცავში საგანგებო ოთახი იყო გამოყოფილი სამკითხველო დარბაზისთვის. მსურველს შეეძლო ესარგებლა წიგნებით, მაგრამ მათი გატანა აკრძალული იყო. სინას მთის ქართული წიგნსაცავი მხოლოდ ადგილზე შექმნილი და გადაწერილი წიგნებით არ მდიდრდებოდა, მას გამუდმებით ემატებოდა წიგნები პალესტინის ქართული კერებიდან: იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან, გეთსიმანიიდან, გოლგოთიდან, პალავრიდან, საბაწმინდიდან და ა.შ.

სინას მთის წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერში მოიყარეს თავი ცნობილმა მწიგნობრებმა, პოეტებმა, კალიგრაფებმა, წიგნთა მმოსველებმა, ესენი იყნენ: იოანე მინჩხი, იოანე-ზოსიმე, იოანე კუმურდოელი, მაკარი ლეთეთელი, მიქაელ ფანასკერტელი, იოანე სინელი და სხვები. სწორედ მათი ერთობლივი მოღვაწეობით შეიქმნა უაღრესად მდიდარი წიგნსაცავი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს აქაურ ქართველთა მრავალფეროვან ლიტერატურულ ინტერესებს. სინას მთაზე მოღვაწეობდნენ არა მარტო კალიგრაფიისა თუ ხელნაწერთა დამზადების მცოდნე ქართველი მამები, არამედ ისტორიკოს-თეოლოგებიც, რომელთა საქმიანობა სათანადოდ შესწავლილი არ არის. იგივე ითქმის სინას მთის ქართულ ხელნაწერებზეც, მიუხედავად იმისა, რომ მათ სხვადასხვა დროს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერებიც იკვლევდნენ.

ქართველი მეცნიერებიდან სინას მთაზე პირველად პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი იყო, რომელმაც 92 ხელნაწერი აღწერა. 1902 წელს აქ ნაყოფიერად იმუშავეს ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა. 1927 წელს სინური ხელნაწერები რ. ბლეიკმა შეისწავლა. 1950 წელს ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის ექსპედიციამ სინას მთისა და იერუსალიმის სიძველეების, მათ შორის ყველა ქართული ხელნაწერის, მიკროფილმები გადაიღო.

80-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტმა სინას მთის ხელნაწერთა დაწვრილებითი აღწერილობის გამოცემა დაიწყო და რამდენიმე ექსპედიცია მოაწყო სინას მთაზე.

დიდი ხნის პაუზის შემდეგ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სპეციალისტებმა ყველაზე მდიდარი უძველესი კოლექციების სამეცნიერო შესწავლა განაახლეს. *„ხელნაწერის კოდიკოლოგიური შესწავლა, მისი დათვალიერება, საწერი მასალის ფაქტურის გააზრება უშუალოდ ორიგინალების ნახვითაა შესაძლებელი“* – აცხადებს ფილოლოგიის დოქტორი, **ლელა შათირიშვილი**. ორიგინალების ნახვა კი სწორედ 13-წლიანი პაუზის შემდეგ განახლებული ექსპედიციის შედეგად გახდა შესაძლებელი. 2002 წლის შემდეგ, სათანადო დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხების გამო, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ვერ ახორციელებდა სინას მთაზე ექსპედიციებს და იქ დაცული კოლექციის კვლევას. მხოლოდ 2014 წლის დეკემბერში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებითა და ეგვიპტეში საქართველოს საელჩოს დახმარებით, ცენტრის თანამშრომლებს საშუალება მიეცათ, ემუშავათ სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცულ ქართულ ხელნაწერთა უნიკალურ კოლექციაზე.

ნესტან ჩხიკვაძე, ფილოლოგიის დოქტორი: *„2015 წიგნის შექმნა ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული სტატუსი ჰქონდა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში, რომელიც გვაძლევდა საშუალებას, იქ ძალიან სერიოზული პოზიციები გვქონოდა. ეს ექსპედიცია ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო იმიტომ, რომ დიდხნიანი პაუზის შემდეგ მოგვეცა საშუალება, მივსულიყავით სინას მთაზე. ბოლო ექსპედიციამ 21-ე საუკუნის დასაწყისში იმუშავა და, შესაბამისად, გარკვეული ნაწილის კატალოგი გამოსცა. მაგრამ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, გვენახა ის ძველი კოლექცია (პირობითად ჰქვია ძველი), რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულიდან იყო ცნობილი, თუმცა ჩვენ ეს მხოლოდ ფოტოპირებით ვიცოდით. ამიტომ, რა თქმა უნდა, სინას მთაზე ჩასვლა ძალიან სერიოზული ნაბიჯია.“*

ბუბა კუდავა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი: *„სინას მთაზე არსებული ქართულ ხელნაწერთა კოლექცია გამორჩეულია უცხოეთში არსებულ კოლექციებს შორის არა მხოლოდ რაოდენობით, არამედ თავისი მნიშვნელობითა და სიძველით, იმითაც, რომ იქ არ არის მხოლოდ სინაზე გადაწერილი ხელნაწერები, არამედ დაცულია სხვადასხვა*

დროს პალესტინის მონასტრებში შექმნილი ხელნაწერებიც.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიზანია, გააგრძელოს სამუშაოები, რომელიც აქამდე, მე-19 საუკუნიდან მე-20 საუკუნის ჩათვლით, იყო ჩატარებული. ამ კოლექციის კატალოგიზების და შესწავლის თვალსაზრისით, დღეს პირველად ამოცანათა შორის ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნაა ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე, ქართულ ხელნაწერთა გაერთიანებული კატალოგის გამოცემა“.

სინას მთის ქართულ ხელნაწერთა დიდი ნაწილი დღესაც სინაზეა დაცული, თუმცა გარკვეული ნაწილი, დროთა განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზით, მოხვდა პეტერბურგში, პრაღაში, ნიუ-იორკში, პარიზში – მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში. სინური კოლექციის მე-10 საუკუნის ჭილ-ეტრატის იადგარი ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. ჭილ-ეტრატი ამ ხელნაწერს საწერი მასალის მიხედვით ეწოდა და ის IX-X საუკუნეებით თარიღდება. ჭილ-ეტრატის ერთი ნაწილი პაპირუსზეა გადაწერილი, ხოლო მეორე – ტყავზე. იადგარი მთელი წლის საეკლესიო კალენდრის მიხედვითაა აწყობილი, ეს უძველესი ლიტურგიკული ტექსტი მხოლოდ საქართველოშია შემორჩენილი და უძველესი ქრისტიანული ღვთისმსახურების კვლევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. საბა წმინდის მონასტერში გადაწერილი ხელნაწერი, არაბების მიერ მონასტრის დარბევის შემდეგ, ქართველმა ბერებმა სინას მთაზე გადაიტანეს, საქართველოში კი აკაკი შანიძის ძალისხმევით დაბრუნდა.

ექსპედიციის შემდგომი ეტაპი, როგორც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, კომპლექსური სამუშაოების ჩატარებას გულისხმობს. გასულ წელს მოძიებული და მომავალი ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალებით ერთიანი, თანამედროვე სტანდარტების ქართულ და ინგლისურენოვანი კატალოგები გამოიცემა, შეიქმნება მონაცემთა ბაზა, განხორციელდება სხვადასხვა სახის კვლევითი, საგამომცემლო, საგამოფენო პროექტი, მოხდება ხელნაწერთა დიგიტალიზაცია და რესტავრაცია-კონსერვაცია.

სინას მთის ქართულ ხელნაწერთა მონაცემების აქტიურ სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა აქტუალური და მნიშვნელოვანია როგორც მულტიდისციპლინური კვლევებისთვის, ისე ცალკეული ჰუმანიტარული დარგებისთვის: ფილოლოგიისთვის, ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევებისთვის, ისტორიული და წყაროთმცოდნეობითი ძიებებისთვის და სხვ.

დიდი ხნის წყვეტის შემდეგ განხორციელებული პირველი ექსპედიციით სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კვლევისა და პოპულარიზების ახალი ეტაპი დაიწყო.

მასწავლებლის გიგლიოთეკა



მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5.50 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი



კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23 – „ახალი განათლების“ რედაქცია

ინფორმაცია

სასკოლო მზაობა – მშობლებისა და ფსიქოლოგების განსხვავებული აქცენტები

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრის ფსიქოლოგებმა და ექიმებმა, სასკოლო სწავლების დაწყების ასაკთან დაკავშირებით, პრესკონფერენცია გამართეს, რომელზედაც მოწვეული იყვნენ ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მშობლები და ყველა დაინტერესებული პირი. შეხვედრის მიზანი – ყველა მხარეს, სასკოლო ასაკთან დაკავშირებით, სპეციალისტებისაგან მიეღო სრული ინფორმაცია.

მშობლები და ფსიქოლოგები სკოლისთვის მზაობაში განსხვავებულ აქცენტებს აკეთებენ. თუ მშობელთა უმრავლესობისთვის წერა-კითხვის ცოდნა ბავშვის სკოლაში ადრე შეყვანის მიზეზია, ფსიქოლოგები აქცენტს სოციალურ, ემოციურ, ინტელექტუალურ მზაობაზე, ასევე მოტორიკის განვითარების დონეზე აკეთებენ. შესაბამისად, ფსიქოლოგების რეკომენდაციებსა და მნიშვნელოვან საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევებზე დაყრდნობით, სასკოლო სწავლების დაწყების ასაკად 6 წელი განისაზღვრა. აქვე აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, ფსიქოლოგები სასკოლო ოპტიმალურ ასაკად 7 წელს მიიჩნევენ. შესაბამისად, ავსტრიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ჩეხეთში, პოლონეთსა და ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანაში სასკოლო ოპტიმალურ ასაკად 7 წელია განსაზღვული. ასევე 7 წელია სწავლის დაწყების ასაკი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

სასკოლო სწავლების დაწყება ბავშვის ცხოვრებაში უმიშვნელოვანესი მოვლენაა. იგი ერთდროულად უამრავი სიახლის წინაშე დგება და, თუ ბავშვს არ აქვს შესაბამისი მზაობა, სკოლაში მისვლა შესაძლოა გადაულახავი სიძნელეებისა და ფსიქიკური ტრავმების დასაწყისი აღმოჩნდეს. ალბათ ყველა მშობელს აინტერესებს, თუ რას გულისხმობს სასკოლო მზაობა. ფსიქოლოგების განმარტებით, ეს არის ბავშვის უნარი, დაიწყოს და მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, რაც განვითარების გარკვეულ დონეს შეესაბამება, კერძოდ:

1. გონებრივი ნიშანი – აღქმის დიფერენციაცია, ყურადღების კონცენტრაცია, ლოგიკური მეხსიერება, ანალიტიკური აზროვნება, სინამდვილისადმი რაციონალური მიდგომა, მიზანსწრაფულობა, ცოდნის დაუფლების ინტერესები, სიმბოლოების გაგების უნარი;

2. განვითარებული მოტორიკა (რაშიც იგულისხმება წიგნის ფურცვლის, კალმის დაჭერის უნარი);

3. ემოციური მოწიფულობა – უკეთესი ემოციური სტაბილურობის მიღწევა, იმპულსური რეაქციების შემცირება. სასკოლო საქმიანობის მოტივირებისას ემოციების გამოყენება;

4. სოციალური მოწიფულობა – სურვილი, კონტაქტი დაამყაროს თანატოლებთან და გარკვეულწილად, დაექვემდებაროს ბავშვთა კოლექტივის ინტერესებს. მიიღოს საკუთარი როლი სასკოლო სწავლების სოციალურ სიტუაციაში.

ჩამოთვლილი უნარ-ჩვევები სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით ყალიბდება, შესაბამისად, ინდივიდუალურია, ე.ი. ერთი ასაკი არ ნიშნავს განვითარების თანაბარ დონეს, მაგრამ ბავშვთა ასაკობრივი განვითარება გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება და უმრავლესობისათვის ერთ ასაკობრივ ზღვარში თავსდება.

ფსიქოლოგებისა და ექიმების დასკვნების, სხვადასხვა უცხოური თუ ადგილობრივი კვლევების საფუძველზე, დადგენილია, რომ 5 და 6 წლის ასაკს განსხვავებული განვითარების საფეხური გააჩნია. ამ ასაკში, ბავშვის ემოციურ-ინტელექტუალური განვითარებისათვის, თითოეულ თვესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუ 5 წლის ბავშვისათვის წამყვანი საქმიანობაა თამაში, 6 წლის ბავშვისათვის ეს არის ხატვა, ძერწვა, კონსტრუირება, რაც უკვე მიუთითებს სასკოლო პროცესისთვის მზაობას. 6 წლის ასაკში უფრო განვითარებულია კოგნიტური და ნებელობითი უნარები, ვიდრე 5 წლის ასაკში. სკოლაში ბავშვი ხვდება რადიკალურად განსხვავებულ, სტრუქტურირებულ, ახალი მოთხოვნებით და პასუხისმგებლობებით გაჯერებულ გარემოში, რაც 5 წლის ბავშვისთვის უფრო რთული დასაძლევია, ვიდრე 6 წლის ბავშვისთვის.

სკოლა, როგორც თვისობრივად ახალი ინსტიტუციური გარემო, 5 წლის ბავშვისთვის სტრესულია. რთულდება ადაპტაციის პროცესი, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება დაძლეულადაც ჩაითვალოს, მაგრამ თავი იჩინოს მოგვიანებით, სომატური, ემოციური და ქცევითი პრობლემებით.

სსსმ სტუდენტები შესაბამის ადაპტირებულ გარემოში სწავლობენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი** პროფესიულ სასწავლებელ „მერმისს“ ეწვია, სადაც 42 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი სწავლობს. ვიზიტის მიზანი იყო სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვება და იმ სერვისების მონახულება, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან ერთად, პროფესიულ სასწავლებლებში ახორციელებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვა 2013 წლიდან დაიწყო და 16 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში 203 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (ინტელექტუალური, სენსორული, ფიზიკური, ქცევისა და ემოციური დარღვევებით) 32 სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამას ეუფლება.

საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“, 2013 წლიდან, ჩართულია პროექტში „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლების და გადამზადების სისტემაში“, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ინტეგრაციას საზოგადოებაში და ზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობას.

2013 წლის საშემოდგომო მიღებაზე კოლეჯში „მერმისი“ 16 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი 9 საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა. მათგან 5 სტუდენტი იყო სმენადაქვეითებული. ამ პერიოდისთვის კოლეჯი ადაპტირებული იყო მხოლოდ პანდუსით.

2014 წლიდან დაიწყო კოლეჯის ადაპტირება უნივერსალური დიზაინის შესაბამისად. გაკეთდა თანამედროვე სტანდარტების ლიფტი და მოეწყო ადაპტირებული სველი წერტილები, შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სსსმ სტუდენტების რაოდენობა, კერძოდ, 2014 წლის საშემოდგომო მიღებაზე 42 სტუდენტი 14 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა. მათგან 12 სტუდენტი სმენადაქვეითებულია, ორი – ტოტალური უსინათლო, ხოლო ერთი – ეტლით მოსარგებლე. აღსანიშნავია, რომ მზარეულის სპეციალობაზე 10 სსსმ სტუდენტია ჩარიცხული. მომავალში გათვალისწინებულია დამატებითი ადაპტირების განხორციელება ეზოსა და შენობაში უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით, რათა გარემო კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდეს უსინათლო, ყრუ და სხვა გამოწვევის მქონე სტუდენტებისათვის.

სსსმ სტუდენტების სწავლის პროცესის ხელშეწყობისათვის მოწვეული არიან: ჟესტური ენის თარჯიმნები; სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს უსინათლო სტუდენტისთვის გზის დასწავლას და მომზადებას დამოუკიდებელი მგზავრობისათვის, ასევე, სპეციალური ასისტენტი-მძღოლი – ეტლით მოსარგებლე სტუდენტისათვის. შეძენილ იქნა აუდიოჩამწერები უსინათლო სტუდენტებისათვის და მოწვეულ იქნა სპეციალისტი, რომელმაც კოლეჯის კუთვნილ კომპიუტერებზე (ასევე, სტუდენტთა პირად ლეპტოპებზე) ხმოვანი პროგრამის ჩაწერა უზრუნველყო.

კოლეჯში შექმნილია ინკლუზიური პროფესიული განათლებისათვის ხელმისაწვდომი სასწავლო გარემო, რომელშიც ჩართულია ორი ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ერთი სსსმ პირის ასისტენტი. სტუდენტთათვის კეთილგანწყობილია სოციალური გარემო, ისინი უზრუნველყოფილნი არიან მათთვის საჭირო სასწავლო რესურსებით.

კოლეჯში პროფესიული განათლების მიწოდება ხორციელდება პროფესიული მასწავლებლების მიერ, რომლებიც გადამზადებული არიან ინკლუზიური განათლების განვითარების მიმართულებით და გავლილი აქვთ სხვადასხვა სახის ტრენინგი. ისინი პროფესიულ განათლებას აწვდიან სტუდენტებს ინდივიდუალური შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროების შესაბამისად. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული როგორც კოლეჯის, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

პერიოდულად მიმდინარეობს როგორც მასწავლებლების, ასევე ადმინისტრაციის გადამზადება-დატრენინგება. 2014 წლის 9 ნოემბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მეთოდოლოგიური და ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს შორის მიმდინარე პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ფარგლებში, განხორციელდა სამუშაო ვიზიტი ნორვეგიაში, ქალაქ ოსლოში, სადაც იმყოფებოდნენ კოლეჯის დირექტორი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და სსსმ პირის ასისტენტი.

პედაგოგთა შეფასების კრიტერიუმებზე მომუშავე სახელმწიფო კომისიამ მუშაობა დაასრულა

სახელმწიფო კომისიის წევრებმა ზოგადი განათლების კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტებზე მუშაობა დაასრულეს. აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებენ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფუნქციონირებას და განსაზღვრავენ მასწავლებლებისთვის სტატუსების მისანიჭებლად აუცილებელ გზებსა და საშუალებებს, სავალდებულო აქტივობებისა და საქმიანობების ჩამონათვალს, კრედიტქულების განაწილების პრინციპებსა და გაანგარიშების წესს, მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმებსა და კრედიტქულების დაგროვების ვადებს.

დოკუმენტების საბოლოო ვერსიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემასთან ერთად, საქართველოს მთავრობას განსახილველად უახლოეს მომავალში წარედგინება.

შეგახსენებთ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საქართველოს მთავრობას 20 იანვარს წარუდგინა სპეციალური კომისია, რომელიც მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მარეგულირებელ დოკუმენტებს 1 თებერვლამდე შეიმუშავებდა.

19 წევრისაგან შემდგარი სპეციალური სახელმწიფო კომისია მუდმივმოქმედია და მისი წევრები არიან წარმომადგენლები ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და ილიას უნივერსიტეტებიდან, პროფესიული კავშირებიდან, ასევე პედაგოგები და დირექტორები სასკოლო საზოგადოებიდან, ქალაქის თვითმმართველობიდან, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან, განათლების თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, კომისიის საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებენ, აგრეთვე, განათლების ექსპერტები.

პედაგოგთა დასახმარებლად

ფრანგული ენა

როგორ შევადგინოთ ტესტი

მაკა ნადარეიშვილი

ჩვენს წინა სტატიებში უცხო ენის გაკვეთილზე ავთენტური მასალის გამოყენების შესახებ ვისაუბრეთ. დღევანდელ სტატიაში შემოგთავაზებთ გზებს, თუ როგორ შეიძლება შევქმნათ ტესტი. სანამ უშუალოდ შედგენის პროცესზე გადავიდოდეთ, სასურველია, ჯერ გავარკვიოთ, რა არის ტესტი, ანუ ტესტირების მიზანი.

ტესტირება, შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა. განათლების სხვადასხვა საფეხურზე ტესტირება გამოიყენება, როგორც ცოდნისა და უნარების შეფასების ერთ-ერთი ობიექტური და შედარებით სწრაფად განხორციელებადი მეთოდი. მისი საშუალებით უნდა შევძლოთ სასწავლო კურსის ყველა მნიშვნელოვანი ნაწილის შეფასება, წინაღმდეგ შემთხვევაში, ტესტი კარგავს თავის ფუნქციას. სასწავლო პროცესში, ტესტთან ერთად, სასურველია, შეფასებისათვის სხვა მეთოდების გამოყენება, მოსწავლის სრულფასოვნად შეფასება რომ მოხერხდეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ტესტირებას სხვადასხვა დანიშნულება აქვს, მას შეიძლება ჰქონდეს: დიაგნოსტიკური ფუნქცია, სასწავლო აღმზრდელობითი და სხვ. ტესტირების მიზანი არ არის მოსწავლის „გამოჭერა“, არამედ მისი მოსწრების დადგენა სტანდარტით გათვალისწინებულ ნორმებთან მიმართებაში.

თავის მხრივ, ტესტი შედგება ტესტური დავალებებისგან, რომლებიც სწავლის პროცესის სხვადასხვა კომპონენტს, უნარებსა და ცოდნას ზომავს.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ტესტური დავალებები მარტივიდან რთულისკენ უნდა მიდიოდეს. უნდა იყოს როგორც დახურული, ასევე ღია ტიპის კითხვები, არჩევითპასუხიანი დავალებები, ჩასასმელი და სხვ.

გვახსოვდეს, ტესტი გაზომვადი და დროში გაწერილი უნდა იყოს, ანუ თითოეულ დავალებას შესაბამისი ქულა უნდა ჰქონდეს და მითითებული იყოს ტესტის ხანგრძლივობა.

ტესტირების ძლიერი მხარეა:

❖ ობიექტურობა;

❖ სამართლიანობა, რადგან ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებშია;

❖ ეფექტურობა, დროის ეკონომიის თვალსაზრისით.

თუმცა, ტესტირებას სუსტი მხარეც აქვს:

- შედგენა ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია;
- არ იძლევა საკითხში ჩაღრმავების საშუალებას;
- მაღალია შემთხვევითობის ალბათობა;
- ნაკლებად იძლევა მაღალი დონის და შემოქმედებითი უნარების შეფასების შესაძლებლობას.

ტესტურ დავალებათა ტიპები

„ჭეშმარიტია-მცდარია“ ტიპის დავალებები – **vrai ou faux**; ამ შემთხვევაში უნდა მივცეთ პატარა ზომის ტექსტი და შემდეგ ამ ტიპის კითხვები ან შესაძლებელია, კითხვა განვლილი თემატიკიდან დავსვათ.

მაგ.: Au passé composé tous les verbes se conjugent avec l' auxiliaire avoir. Vrai faux.

ამ დავალებას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს. დადებითი მხარე ისაა, რომ შესაძლებელია დიდი ინფორმაციის მოკლე დროში შემოწმება. უარყოფითი მხარე კი, ალბათობის მაქსიმალური შესაძლებლობაა (50%), ანუ შესაძლებელია მოსწავლემ არ იცოდეს სწორი პასუხი და ის შემთხვევით შემოხაზოს.

ტესტური დავალების შემდეგი ტიპია **არჩევითპასუხიანი დავალებები – question à choix multiples**;

ამ შემთხვევაში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩამოთვლილი პასუხები იყოს ერთგვაროვანი, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანი უნდა იყოს სწორი.

მაგ.: **Vous mangez du poisson ?**
a. Non, je ne mange pas du poisson;
b. Non, je ne mange pas de poisson;
c. Non, je ne mange pas le poisson;
d. Non, je ne mange pas la poisson.

სწორი პასუხია **b**, თუმცა დანარჩენ შემთვევებში სხვაობა მხოლოდ არტიკლია და, შესაბამისად, პასუხების ვარიანტებიც ერთგვაროვანია.

ამ ტიპის დავალების დადებითი მხარეა – შესაძლებელია მცირე დროში დიდი რაოდენობის ცოდნის შემოწმება, მისი საშუალებით შესაძლებელია ყველა კოგნიტური დონის შემოწმება.უარყოფითი მხარეა – ამ ტიპის დავალებების მოფიქრება და შედგენა დიდ დროს მოითხოვს.

ტესტური დავალების შემდეგი ტიპია **შესაბამისობის დადგენა – faire des associations**. ამ ტიპის დავალებას მაშინ ვიყენებთ, როდესაც გვინდა მოსწავლემ ორი საგანი თუ მოვლენა დაუკავშიროს ერთმანეთს. ერთ სვეტში ჩამოვწერთ დებულებებს, ხოლო მეორე სვეტში – დასაკავშირებელ სიტყვას.

მაგ.:
Le frère de mon père c'est …….. a. ma tante
La sœur de ma mère c'est …….. b. mon oncle

ამ ტიპის დავალებების დადებითი მხარეა ის, რომ იოლია ქულების დათვლა. შესაბამისად, დავალებას აქვს უარყოფითი მხარეც: რთულია სწორი და მკაფიო ინსტრუქციების ფორმულირება.

ტესტური დავალების შემდეგი ტიპია **სწორი თანმიმდევრობის დამყარება – Mettez en ordre.**

— Comment ça va?
— Bonjour
— Ça va et toi?
— Merci ça va.
— Au revoir.

სწორი თანმიმდევრობაა: Bonjour — Comment ça va? — Ça va et toi? — Merci ça va — Au revoir.

ამ ტიპის დავალების დადებითი მხარეა ის, რომ ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნაზე, არამედ ანალიზზე და ზოგჯერ სინთეზზეც. შეუძლებელია ყველა თემას მოვარგოთ ამ ტიპის დავალება.

ამ ტიპის დავალების შერჩევისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ თემასა და მოვლენებზე, სადაც არსებითი მნიშვნელობა აქვს თანმიმდევრობის დაცვას.

ტესტური დავალების შემდეგი ტიპია **დავალებები ღია დაბოლოებით ესსე – question ouverte** essai.

დავალება გამოიყენება, ძირითადად, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების შესაფასებლად. შესაბამისად, პასუხებიც არ არის ერთი და ინდივიდუალური. აქ, ძირითადად, გამოიყენება სადისკუსიო თემები, რომლებიც მსჯელობასა და დასაბუთებას მოითხოვს.

მაგ.: **Il ya des gens qui pensent que l'argent ne fait pas le bonheur. Qu'en pensez-vous justifiez votre avis.**

ასეთი ტიპის დავალების დადებითი მხარეა ის, რომ მოსწავლის მრავალმხრივად შეფასების საშუალებას გვაძლევს – წერითი მეტყველების, მსჯელობისა და არგუმენტირების უნარი. შესაბამისად, უარყოფით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ ამ ტიპის დავალების შეფასების სირთულე. ამ შემთხვევაში, შეფასების კრიტერიუმები ძალიან მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი, თუმცა შეფასებისას მაინც რჩება უკმაყოფილების განცდა.

გვახსოვდეს:

❖ ტესტის ყველა დავალება უნდა იყოს დანომრილი და ეწეროს შესაბამისი ქულა (რა ქულით ფასდება, ქულები უნდა იყოს მთელი რიცხვები და არა მეოთხედები ან ნახევრები. მაგ.: 1 ქულა, 2 ქულა და ა.შ.);

❖ თუ ყველა მოსწავლემ ტესტი 100%-ით შეასრულა, ე.ი. ის ძალიან იოლია და არ მოგვცემს მოსწავლეთა დიფერენციაციის საშუალებას;

❖ თუ ვერცერთი მოსწავლე ვერ ასრულებს ტესტს, ე.ი. ეს უნარი მოსწავლეებს არ აქვთ ათვისებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ტესტური დავალების შექმნის ხელოვნება – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2009;
- როგორ შევადგინოთ პედაგოგიური ტესტები, 2009;
- ტესტების შექმნის ხელოვნება – მასწავლებლის სახლი. 2014.

ერთი მაგალითი

Nom…… Date ……..
Prénom ……. Total / 25

1. Choisissez la bonne réponse. /2
Vous mangez du poisson ?
A. Non, je ne mange pas du poisson;
B Non, je ne mange pas de poisson;
C. Non, je ne mange pas le poisson;
D. Non, je ne mange pas la poisson.

Vous prenez le train à 8 heures?
A. Oui, je prends le train à 8 heures
B. Oui, je prende le train à 8 heures
C. Oui, je prend le train à 8 heures
D. Oui, je prendes le train à 8 heures

2. Lisez le texte et puis répondez si les affirmations sont fraies ou fausses. /5

Mon père est millionnaire

Quand mon père était jeune, il faisait du théâtre. Maintenant il imite encore très bien la poule qui pond un œuf.

Un soir, Maman est partie au cinéma avec une copine. Mon frère et moi, nous finissions le dessert quand Papa a dit:

- Mes enfants, aujourd'hui n'est pas un jour comme les autres…

Il a sorti une petite boîte et a dit:

- Mes enfants c'est le trésor! Lou, tu veux l'ouvrir?

J'ai pris la clé qu'il me donnait, mais il a dit:

- C'est le moment très important, fermez les yeux!

Quand j'ai rouvert les yeux, devant nous, sur la table il y avait une montagne de grosses pièces dorées!

Mon frère a demandé:

- Elles sont vraies, Papa?

Papa a répondu:

- Mes enfants, je suis millionnaire… Promettez-moi de n'en parler à personne. Quelques personnes peuvent venir et voler mon trésor. Mon frère et moi, nous avons hochés la tête.

Le matin, au petit déjeuner, mon frère a couru vers Maman:

- Maman! Papa est millionnaire!

1. Le père de Lou a un talent d'imitateur.	V	F
2. Le père confie son secret à sa femme.	V	F
3. Il garde son trésor dans une armoire.	V	F
4. Le fils garde le secret de papa.	V	F
5. Maman est allée au cinéma avec son amie.	V	F

3. faites des associations. /5

Le frère de nom père c'est ……..	a. ma grand-mère
La sœur de ma mère c'est ……..	b. mon grand-père
La mère de mon père c'est……	c. mon cousin
Le père de ma mère c'est ……..	d. ma tante
Le fils de ma tante c'est …….	e. mon oncle

4. Mettez en ordre. /3
- Merci ça va.
- Bonjour, comment ça va?
- Au revoir.
- Moi aussi
- Bonjour ça va et toi?
- Ravi de te voir.
- Au revoir.

5. Il ya des gens qui pensent que l'argent ne fait pas le bonheur. Qu'en pensez-vous justifiez votre avis. /10

პედაგოგთა დასახმარებლად

სოფიო დედალამაზიშვილი

გერმანული ენა

Pick-up-Methode (Texteinsammelmethode)

Die 5 Schritte der Pick-up-Methode

1. Du stellst fest, wovon der Text handelt.
2. Du untergliederst den Text in einzelne Abschnitte.
3. Du markierst wichtige Schlüsselbegriffe und Textstellen.
4. Du klärst noch unbekannte Begriffe und Fremdwörter.
5. Du fasst den Text mündlich oder schriftlich zusammen.

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის „PISA“-ს მიხედვით, „Lesekompetenz ist „die Fähigkeit, geschriebene Texte zu verstehen, zu nutzen und über sie zu reflektieren, um eigene Ziele zu erreichen, das eigene Wissen und Potenzial weiterzuentwickeln und aktiv am gesellschaftlichen Leben teilzunehmen“. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს წერილობითი ტექსტის გაგების, გააზრების და გაანალიზების უნარი. უნარ-ჩვევა კითხვის განვითარება არ არის ადვილი. თუმცა, საკმაოდ ბევრი მეთოდი არსებობს, მაგრამ თუ მეთოდი არასწორადაა გამოყენებული, მივყავართ მოსწავლეთა დემოტივაციისაკენ. ერთ-ერთი ხშირად დაშვებული შეცდომა ისაა, რომ მასწავლებლები ძალიან მოკლე და მარტივ ტექსტებს არჩევენ ხოლმე სავარჯიშოდ, რაც მოსწავლეებისათვის, დროთა განმავლობაში, მოსაწყენი ხდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძალიან რთული და გრძელი ტექსტები უნდა გამოვიყენოთ. საკითხავი ტექსტების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ასაკი, უცხოური ენის ცოდნის დონე და მათი ინტერესები, რათა ტექსტი, რომლის გამოყენებასაც გაკვეთილზე ვაპირებთ, არც ძალიან რთული და არც ძალიან მარტივი არ აღმოჩნდეს.

მეთოდი, რომელიც მინდა შემოგთავაზოთ, არის ეგრეთ წოდებული ხუთნაბიჯიანი კითხვის მეთოდი – „Pick-up-Methode“. „Pick up“ ნიშნავს აკენკვას ან შეგროვებას (aufpicken oder einsammeln). აქედან უკვე ცხადი ხდება, რა იგულისხმება ამ მეთოდში. „Pick-up-Methode (Texteinsammelmethode)“, მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, ნაბიჯ-ნაბიჯ დაამუშაონ და გაიგონ რთული ტექსტი.

თავდაპირველად, გაკვეთილის დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტექსტი მასწავლებლის დახმარებით დამუშავდეს ფრონტალური გაკვეთილის ფორმატში, რომელშიც დამოუკიდებელი და წყვილებში მუშაობის ფაზებია ინტეგრირებული. შემდეგ, როდესაც ყველა ნაბიჯი გასაგები იქნება, მოსწავლეები უკვე დამოუკიდებლად მუშაობასაც შეძლებენ. ეს მეთოდი განკუთვნილია უცხოურ ენაზე დაწერილი რთული დარგობრივი ტექსტების დასამუშავებლად და არა ლიტერატურული ტექსტებისთვის.

რთული ტექსტების კითხვა არაა სასიამოვნო, ამბობენ ხშირად მოსწავლეები. ეს გასაგებიცაა, რადგან სულაც არაა სასიამოვნო ტექსტების კითხვა, რომლებიც ნორმალურად არ გესმის. „Pick up“ – მეთოდმა ეს უნდა შეცვალოს და მოსწავლეებს დაეხმაროს ისეთი რთული დარგობრივი ტექსტების დამუშავებაში, რომელთა გაგებაც პირველი წაკითხვისას უჭირთ. ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები ხუთ ნაბიჯად შეძლებენ ტექსტებიდან უფრო და უფრო მეტი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვებას. შეიძლება ითქვას „Pick-up-Methode“ მოსწავლეებს აძლევს გასაღებს, რომლითაც ნებისმიერ რთულ ტექსტს გაიგებენ.

ახლა განვიხილოთ ამ მეთოდის ხუთივე ნაბიჯი:

1. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ იმის გაგება, რაზეა ტექსტში საუბარი.

პირველი წაკითხვისას მთლიანად უნდა გადაიკითხონ ტექსტი. ამასთანავე სულაც არაა აუცილებელი, ყველა დეტალი და უცხო სიტყვა გაიგონ. მათ უნდა ავუხსნათ, რომ კითხვისას ყურადღება მიაქციონ იმ სიტყვებს და წინადადებებს, რომლებიც მათთვის ნაცნობია. ასე ისინი შეძლებენ მთავარი აზრის გამოტანას, რომელსაც ჩაინიშნავენ. ამგვარად, მათ უკვე აქვთ შესავალი, ტექსტის წერილობითი თუ ზეპირი შეჯამებისათვის.

2. მოსწავლეებმა უნდა დაყონ ტექსტი ცალკეულ მონაკვეთებად.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგან ამ მეთოდით მოსწავლეები ტექსტს სტრუქტურას აძლევენ. მონაკვეთებად დაყოფილი ტექსტის დამუშავება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მთლიანის. თუ ისინი მონაკვეთებს დაასათაურებენ, მათ უკვე აქვთ ძირითადი ასპექტები, რომელზე ორიენტაციაც ზეპირი ან წერილობითი შეჯამებისას შეიძლება აიღონ.

3. მოსწავლეებმა უნდა მონიშნონ ტექსტში საკვანძო სიტყვები და ადგილები.

ამ ნაბიჯის დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა იცოდნენ, როგორ მოძებნონ ტექსტში საკვანძო სიტყვები (Schlüsselbegriffe). (არსებობს საკვანძო სიტყვების გამოცნობის სამი ხერხი: 1. საკვანძო სიტყვები ხშირად არსებითი სახელებია და როგორც ვიცით, ისინი გერმანულ ენაში ყოველთვის დიდი ასოთი იწერება. კითხვისას მოსწავლეები კონცენტრირებული უნდა იყვნენ არსებით სახელებზე, რადგან მათ შორის საკვანძო სიტყვების პოვნას შეძლებენ. 2. შემდეგ „ძებნის არეალი“ კიდევ უფრო ვიწროვდება. ტექსტი უნდა წაიკითხოთ მეორედ, მონაკვეთების მიხედვით; თითოეული მონაკვეთის შემდეგ ვაკეთებთ პაუზას და ვამთავრებთ წინადადებას: „Der Abschnitt handelt von_____“ ამ შემთხვევაში ძალიან დიდი ალბათობაა, რომ წინადადებას საკვანძო სიტყვით დავასრულებთ. 3. თუ ყველა მონაკვეთის ერთი წინადადებით შევაჯამეთ, მაშინ კიდევ ერთხელ უნდა გადავამოწმოთ ტექსტი მონაკვეთების მიხედვით და დავაკვირდეთ სათაურში მოცემულ საკვანძო სიტყვას, რომ უფრო სწორად შევარჩიოთ საკვანძო სიტყვა თითოეული მონაკვეთისათვის).

მოსწავლე, რომელიც დარგობრივი ტექსტების პირველად წაკითხვისას მარკერით მუშაობს, ყოველთვის ბევრ სიტყვას და წინადადებას მონიშნავს ხოლმე. მარკირება უნდა დავიწყოთ მეორედ წაკითხვისას. ამ შემთხვევაში ტექსტი შედარებით უფრო გასაგებია და მოსწავლეებს უკეთესად შეუძლიათ გადაწყვიტონ, რომელი ადგილებია ტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. მთლიანობაში ტექსტის 20%-ზე მეტი არ უნდა იყოს მონიშნული. მარკირებული ციტატები შესაძლებელია შეჯამებისას გამოვიყენოთ.

4. მოსწავლეებმა უნდა დაამუშაონ უცხო სიტყვები და ტერმინები.

ზოგიერთი ტექსტი ისეთი დიდი რაოდენობით შეიცავს უცხო სიტყვებს, რომ მოსწავლეებს შეიძლება ეჭვი შეეპაროთ, შეძლებენ თუ არა მის გაგებას, მაგრამ შიშის საფუძველი არაა: სულაც არაა საჭირო აბსოლუტურად ყველა სიტყვის მნიშვნელობა ესმოდეთ, რომ ტექსტის მთავარი გამონათქვამების გაგება შეძლონ. მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ ტექსტში ის უცხო სიტყვები, რომლებიც მათ ტექსტის გაგებისათვის აუცილებლად მიაჩნიათ. მოსწავლეებს შეუძლიათ ისინი წითლად მონიშნონ და შემდეგ მოძებნონ მათი განმარტება ლექსიკონში ან ჰკითხონ მასწავლებელს.

5.მოსწავლეებმა უნდა შეაჯამონ ტექსტი ზეპირად ან წერილობით.

თუ მოსწავლეებმა ყველა ნაბიჯი გაიარეს, მაშინ ტექსტის შეჯამება რთული აღარ იქნება. მათ უნდა ავუხსნათ, რომ შეჯამებისას ჯერ ამბობენ, რაზეა მთლიანად ტექსტში საუბარი, პირველი ნაბიჯის მიხედვით. შემდეგ დასათაურებული მონაკვეთების საფუძველზე, შეუძლიათ ტექსტის სტრუქტურის ჩამოყალიბება და მნიშვნელოვანი მონაკვეთების ციტირება და ტერმინების განმარტება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვოლფგანგ მატესი, „მეთოდები გაკვეთილისათვის“, გამომცემლობა „Schöningh“
- Definition aus: Andreas Schlaicher,Technicsches Briefing PISA 2009,OECD Berlin Centre vom 02.11.2010,im Internet unter wwww.oecd.com

https://www.scook.de/blob/5346/483a206e50575ef12b08d5d5bfce1a5f/fotolia-58414054-data.jpg

ინფორმაცია

ინტეგრირებული კლასების ეფექტურობა იზრდება

2014 წელს ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ინტეგრირებული კლასების მოსწავლეების ჩართვა სასწავლო პროცესსა და ყოველდღიურ სასკოლო აქტივობებში ძალზე ეფექტურია. შესაბამისად, 2015 წელს, სამინისტრომ გაზარდა „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ ბიუჯეტი და ამ მიმართულებით არაერთი პროექტი ხორციელდება. ამ ეტაპზე, სსსმ მოსწავლეებისთვის უნარების განმავითარებელი დამატებითი სერვისის გაძლიერების მიზნით, საჯარო სკოლებში შექმნილ ინტეგრირებულ კლასებს პლანშეტური კომპიუტერები გადაეცათ, ხოლო სმენადაქვეითებულ მოსწავლეთა სკოლა-პანსიონებს – ინტერაქტიული დაფები (Smart Board).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე თბილისის 41-ე საჯარო სკოლის ინტეგრირებული კლასის აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეებთან მივიდა, მათთან სასწავლო პროცესის მიმდინარეობით დაინტერესდა და პირადად გაეცნო, როგორ იყენებენ ეს მოსწავლეები პლანშეტურ კომპიუტერებში არსებულ განმავითარებელ პროგრამებს სასწავლო პროცესში.

პლანშეტურ კომპიუტერებში ჩატვირთულია სპეციალური პროგრამები, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, განივითარონ სხვადასხვა უნარი, უფრო აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და მაქსიმალურად გამოავლინონ შესაძლებლობები.

ინტეგრირებული კლასების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამინისტრო მზად არის, საჭიროების შემთხვევაში, ინტეგრირებული კლასი საქართველოს ნებისმიერ საჯარო სკოლაში გახსნას.

როგორც ცნობილია, 2014 წელს საქართველო „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა“ კონვენციას შეუერთდა. შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ინკლუზიური განათლების განვითარების მიზნით, განხორციელებული და დაგეგმილი ყველა აქტივობა, კონვენციის 24-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების სისრულეში მოყვანას ემსახურება.

თბილისის დემირელის კოლეჯის მოსწავლეებმა საერთაშორისო ოლიმპიადაზე მეორე ადგილი დაიკავეს

2015 წლის 11-17 იანვარს, ყაზახეთის დედაქალაქ ალმათიში, ტრადიციულად, ჩატარდა ჟაუტიკოვის სახელობის მე-11 საერთაშორისო ოლიმპიადა მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში, სადაც თბილისის დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის გუნდმა მე-2 ადგილი აიღო.

ამ ოლიმპიადაში, ტრადიციულად, არა ქვეყნების ნაკრებები, არამედ სპეციალიზებული ფიზიკა-მათემატიკური სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ. წელს ოლიმპიადაში 15 ქვეყნის 59 უძლიერესი გუნდი მონაწილეობდა, ხოლო მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა 480-ს აღწევდა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ოლიმპიადის პრესტიჟულობას.

გუნდურ რეიტინგში ინფორმატიკაში დემირელის კოლეჯმა მეორე ადგილი მოიპოვა. სხვათა შორის, ინფორმატიკის გუნდური რეიტინგით, დემირელის კოლეჯმა გრან-პრის მფლობელ გუნდსაც კი გაუსწრო.

გუნდის ყველა წევრმა მედალი მოიპოვა: **გიორგი სხირტლაძე**, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი – ოქრო (ინფორმატიკა); **ნუგზარ ჩხაიძე**, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი – ბრინჯაო (ინფორმატიკა); **თემურ მიქავა**, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი – ბრინჯაო (ინფორმატიკა); **საბა ძმანაშვილი**, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი – ბრინჯაო (მათემატიკა); **გიორგი კლდიაშვილი**, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი – ბრინჯაო (მათემატიკა).

სასკოლო აქტივობა

ჩვენ ჩვენი წილი საქართველო უნდა შევინარჩუნოთ

„მე-17 საუკუნის დასაწყისში, შაჰ-აბასმა კახეთიდან და ჰერეთიდან 400 000-მდე ქართველი გადაასახლა და სპარსეთის მიწაზე დაასახლა. დღეისათვის 60000-მდე ქართველი ცხოვრობს ირანში, რომლებმაც 400 წლის განმავლობაში შეინარჩუნეს თავიანთი იდენტობა და ენა“ – ამ სიტყვებით დაიწყო სსიპ აკაკი კივილაძის სახელობის თბილისის №8 საჯარო სკოლის VIII[1] კლასის მოსწავლემ **გიორგი გოგავამ** ღონისძიება „სმენად ყმანი მოვიდიან“ (შეხვედრა ფერეიდნელ ქართველთან – **თორნიკე ფანიაშვილთან**).

შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა. ღონისძიების წამყვანმა მოსწავლეებს სტუმარი წარუდგინა და სიტყვაც მას გადასცა, თუმცა საუბარი მაინც მოსწავლეთა კითხვებზე აიგო.

ვინ არის თორნიკე ფანიაშვილი? – ფერეიდნელი ქართველი, რომელიც 12 წლის წინ, 21 წლის ასაკში, ჩამოვიდა საქართველოში. ჩამოვიდა საკუთარი სურვილით რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად. მიუხედავად არაერთი დაპირებისა, სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, თუმცა გული არ გაუტეხია და ბედისწერამ უწმინდესის წინაშე წარადგინა, დღეს მისი ნათლულია. არ იყო ადვილი მშობლებთან დაშორება. მამას მიაჩნდა, რომ შვილის არჩევანისთვის მხარი უნდა დაეჭირა, რადგან მან ასე გადაწყვიტა, ბედნიერიც იქნებაო. დედამ ცრემლითა და ლოცვით გამოაცილა. საქართველოში მიიღო უმაღლესი განათლება, ჯერ დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრა, შემდეგ კი – კავკასიის უნივერსიტეტი. ფლობს ხუთ ენას. მუშაობს ლექსიკონზე – „ფერეიდნული ქართული-ქართული“, წერს წიგნს „მარტყოფიდან მარტყოფამდე“. როგორც თავად ამბობს, ათი წლის ასაკიდან უკვე საქართველოს დასტრიალებდა მისი ფიქრი. მამამ აუხსნა, რომ ის იმ საქართველოდან იყო, ბებია რომ უყვებოდა ქართულ ზღაპრებში ცხრა მთისა და ბარის იქით მყოფ ხუთკუნჭულასა თუ ნაცარქექიაზე. დიახ, ის ქართული ზღაპრებიც კარგად იცის, ჩვენ რომ გვიკითხავდნენ ბავშვობაში.

– როგორი იყო თქვენი და ამდენი ხნის ნაოცნებარი სამშობლოს შეხვედრა?

– მარტყოფიდან მარტყოფში მოვხვდი პირველად (ჩვენს სოფელს მარტყოფი ჰქვია ირანში). თვალებით ვეფერებოდი ყველაფერს. თითოეული კენჭი მიყვარდა, ვეალერსებოდი, თქვენთვის ძნელია ამის წარმოდგენა. ირანში ამბობენ ქართველები: ცისარტყელას ქვეშ თუ გაძვრები, საქართველოში მოხვდებიო. იქ, ფერეიდნელებთან, ასეთი ლოცვაა: შენ გეღირსოს შავი მიწაო. საბავშვო ბაღში ვერ დავდიოდი, რადგან ენა არ ვიცოდი. იქ ყველანი ძველი ქართულით ვლაპარაკობთ. ყველა ტრადიციას აღვნიშნავთ: ვაცხობთ პურს, ვუკეთებთ ჯვარს, მაგრამ არ ვიცით, რატომ. ვღებავთ კვერცხს, მაგრამ არ ვიცით, რატომ... ერთად ვიკრიბებით, სხვა ეროვნებებზე არ ვქორწინდებით, შეიძლება თამამად ითქვას, იქაური ქართველები ქართულის სწავლაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. უნდა დამიჯეროთ, მე დღემდე არ მინახავს სიზმარი სხვა ენაზე (ამაზე მეტი რა უნდა თქვას!).

– როგორ საქართველოზე ოცნებობდით და როგორი დაგხვდათ?

– მე მოვხვდი ჩემს საოცნებო მამულში, რომელმაც გულში ჩამიკრა, მომცა ისეთი სითბო, სხვაგან, სხვა ხალხს რომ არ გააჩნია. ჩემთვის ყველაფერი ძვირფასია. ვიცი, ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ როგორიც უნდა დამხვედროდა, მაინც ბედნიერი ვიქნებოდი. დედას, რომელიც ასაკში შედის, ძალა ეცლება, შეიძლება ყურსაც დააკლდეს, დაკოჭლდეს, ზურგს აქცევთ? უარს იტყვით მასზე იმის გამო, რომ არ არის უწინდებურად ლამაზი? ასეა საქართველო. დედა და საქართველო ერთია. ჩვენ ჩვენი წილი საქართველო უნდა შევინარჩუნოთ.

სულგანაბული ვუსმენდი ამ წარმოსადეგი გარეგნობის, შესაშური აზროვნების ახალგაზრდას. გულში ვეფერებოდი მის აღმზრდელ დედას და მადლიერებით გადავხედავდი ჩემს კოლეგას **თამარ გობეჯიშვილს**, რომელმაც საშუალება მოგვცა, შევხვედროდით ასეთ ნანატრ ქართველს.

შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა. გამახსენდა, ღონისძიების დაწყების წინ, ერთი უმცროსკლასელი ეუბნებოდა მასწავლებელს: მეც მინდა სხვანაირ ქართველთან შეხვედრაო. მაშინ გამეცინა, მაგრამ ახლა მართლა ვეთანხმები იმ პატარას – შენ მართლაც ისეთი ქართველი ხარ, განსაკუთრებულად, სხვანაირად რომ უყვარს ქართული სიტყვა, ქართული მადლი. აი, ვის უნდა ხვდებონენ ჩვენი მოსწავლეები, აი, როგორი ადამიანისგან უნდა იღებდნენ სულიერ საზრდოს.

ღონისძიების დასასრულს სკოლის დირექტორმა **თეონა მაისურაძემ** მადლობა გადაუხადა სტუმარს და იმედი გამოთქვა, რომ მათი მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება.

ნათელა დოგორჯგინიძე
სსიპ აკაკი კივილაძის სახელობის ქალაქ თბილისის №8 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის თავმჯდომარე

მშობელთა პირველი კონფერენცია

ბათუმის მე-2 საჯარო სკოლა არაერთი ინოვაციური თუ კრეატიული ღონისძიებითაა გამორჩეული. სკოლის ბაზაზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფის ინიციატივით, საზოგადოების ჩართულობისა და განათლებისათვის პროექტის (PH) ფარგლებში, საქართველოში პირველად, ჩატარდა მშობელთა კონფერენცია, რომლის დევიზი იყო – „სკოლა და მშობელი – პარტნიორობა საერთო მიზნისა და პროგრესისათვის“.

სკოლის ფოიეს ამშვენებდა ლამაზი სიმბოლო – 3M, რომელიც აერთიანებს მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს. ამ ჯადოსნური სამკუთხედის თანამშრომლობითა და მჭიდრო კავშირით უნდა აღიზარდოს ეროვნული ღირებულებების მქონე თანამედროვე მოქალაქე, რომელიც შეძლებს თანამედროვე სამყაროში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას.

დღევანდელი სკოლის, და არა მარტო დღევანდელი სკოლის, უპირობო მოთხოვნაა მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. ორივე მხარემ ძალიან ბევრი უნდა გააკეთოს ურთიერთთანამშრომლობისათვის – დაგეგმონ ერთობლივი ღონისძიებები, იმსჯელონ, რათა უკეთ დაეხმარონ ბავშვებს. სკოლა არ არის მარტო სასწავლო დანესებულება, აღმზრდელობითი ფუნქცია თანაბრად უნდა გადაინაწილოს ოჯახთან ერთად. ამის მაგალითი იყო ის მრავალფეროვანი თემები, რომელიც მშობლებმა წარმოადგინეს:

• *სკოლა და ფასეულობები* – მომხსენებელი **სოფიო კომახიძე** (იურისტი, მწერალი);

• *წიგნი, კომპიუტერი და ოჯახი ნიჭიერი ბავშვის აღზრდაში* (**მალხაზ თავდგირიძე**, პროგრამისტი);

• *მშობლისა და მასწავლებლის როლი ბავშვთა აღზრდაში* (**ინგა გოგიშვილი**, პედაგოგი);

• *სკოლისა და ოჯახის როლი მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში* (**შორენა მექვაბიშვილი**, ფილოლოგი);

• *მშობლის როლი გარემოს დაცვაში* (**ირინა ქობულაძე**, ჟურნალისტი);

• *გარდატეხის ასაკში არსებული პრობლემები და და მშობლის როლი მათი მოგვარების პროცესში* (**ნინო გაბუნია**, ინჟინერი);

• *სასკოლო ძალადობა* (**შორენა დილოძე**, ფილოლოგი);

• *ქუჩა, ოჯახი, სკოლა და სამართლებრივი აღზრდა* (**ჯემალ კიკნაძე**, იურისტი);

• *მშობელი და სკოლა* (**ილონა ადამია**, ექიმი).

საკონფერენციო თემების შინაარსიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს მშობლის თვალით დანახული პრობლემები, რომლებიც მხოლოდ ერთი კონკრეტული ბავშვის ან ოჯახის პრობლემას კი არ წარმოადგენს, არამედ ზოგადად, საზოგადოების სატკივარია. სწორედ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითა და ღირებულებებით უნდა იზრდებოდეს მომავალი მოქალაქე როგორც სკოლაში, ასევე ოჯახში. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მამების ჩართულობამ სასკოლო ცხოვრებაში. ბატონ მალხაზ თავდგირიძის მოხსენებამ („წიგნი, კომპიუტერი და ოჯახი ნიჭიერი ბავშვის აღზრდა-

სასკოლო აქტივობა

ში“) განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოზარდებში. საგულისხმოა, რომ კონფერენციას ესწრებოდნენ სკოლის XI-XII კლასების მოსწავლეები. კომპიუტერთან მოზარდების მიჯაჭვულობა უკვე ეპოქის პრობლემაა. დაიგეგმა შეხვედრები, პირველ რიგში, შვილის თანაკლასელებთან, შემდეგ კი სხვადასხვა ასაკის მოზარდებთან.

ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია ბატონ ჯემალ კიკნაძის მოხსენებამ – „ქუჩა, ოჯახი, სკოლა და სამართლებრივი აღზრდა“. მხოლოდ ერთად, ერთობლივი ძალისხმევით, გამოცდილების გაზიარებითა და თანამშრომლობითაა შესაძლებელი მოზარდებში სამართლებრივი

კულტურის აღზრდა.

კონფერენციამ თანაბრად მოიცვა ორი პროექტის შინაარსი. პირველი დღე, ძირითადად, დაეთმო აღმზრდელობით საკითხებს, რომელიც პირდაპირ პასუხობდა სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფის ინტერესებს. ხოლო მეორე დღე – „სამართლებრივი კულტურის განვითარების“ პროექტს.

პირველი მშობელთა კონფერენცია მაღალი აკედემიური დონით გამოირჩეოდა. კონფერენციას ესწრებოდნენ: საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრის მაღალკვალიფიციური ტრენერი **მანანა ჯინჭარაძე** და საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პროგრამა „სამართლებრივი კულტურის განათლებისთვის“ (PH) მენეჯერი **თინათინ ებანოიძე**; აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები; ბათუმის რესურსცენტრის თანამშრომლები; პროექტში ჩართული სკოლები ქუთაისიდან, ბათუმიდან; მშობლები. დაიგეგმა შეხვედრები. ვფიქრობთ, ჩვენს გამოცდილებას სხვა სკოლებიც გაიზიარებენ, რათა მშობელთა კონფერენციები რეალურად იქცეს სკოლის აღმზრდელობითი ფუნქციის ერთ-ერთ სერიოზულ ინსტრუმენტად.

მარიზა აბაშიძე
ბათუმის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

მშვიდობის რესურსები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის

კულტურის ცენტრ „თბილისი არტ-ჰოლში“ განხორციელდა უჩვეულოდ ლამაზი, ღრმაშინაარსიანი და შთამბეჭდავი პროექტი „მშვიდობის რესურსები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“.

პროექტის ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატისა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთაშორისო ორგანიზაცია „აფხაზეთის“ ორგანიზებით, ღონისძიებაზე მოწვეული საზოგადოების წინაშე წარდგა მარტვილის №2 საჯარო სკოლის (დირექტორი – **მამუკა თვალაძე**) აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეების ქორეოგრაფიული ანსამბლი „აფსნი“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია**, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **გია (ელგუჯა) გვაზავა**, განათლებისა და კულტურის მინისტრი **დიმიტრი ჯაიანი**, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრის პირველი მოადგილე **ბელა კოპალიანი**, აფხაზეთიდან დევნილ პირთა საერთაშორისო ორგანიზაცია „აფხაზეთის“ თავმჯდომარე **ნენე კალანდია**, მთავრობის აპარატის წარმომადგენლები და სხვა პასუხისმგებელი პირები.

წამყვანის ამპლუაში დარბაზში შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარდგა ქალბატონი ბელა კოპალიანი. მან ისაუბრა პროექტის ფარგლებში გამართული ღონისძიების მნიშვნელობასა და დევნილი მოზარდების როლზე აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

ნანახმა და მოსმენილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდა ამონარიდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ერთ-ერთ საალდგომო ეპისტოლედან, რომელიც სწორედ ამ პროექტს მიესადაგებოდა – *„დადგა დრო, როცა ომებს აღარ შეუძლიათ გადაწყვიტონ ის პრობლემები, რომლებიც ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის არსებობს...“* მივხვდი, რომ სწორედ ხელოვნება ლაპარაკობს

მშვიდობის ენით, მას არ გააჩნია დრო, საზღვრები, ენა...

ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: *„ბედნიერი ვარ, რომ ხელი შევუწყვეთ ამ უნიჭიერეს მოზარდებს, ჩვენამდე მოეტანათ ერთიანი, ძლიერი საქართველოს სურვილი, მონატრება და სიყვარული მათთვის მშობლიური, მაგრამ უცნობი აფხაზეთისა. მიხარია, რომ აფხაზეთიდან დევნილმა ბავშვებმა საოცარი შემოქმედებითი შესაძლებლობები წარმოაჩინეს. ჩვენ ეს გვავალდებულებს, დავიწყოთ პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან. აქ წარმოდგენილი თაობა აფხაზეთის ხვალინდელი დღეა, ისინი უნდა ჩავიდნენ აფხაზეთში და ხელოვნების ენით გადონ ხიდი მშვიდობისა და მიმტევებლობის“.* გამოსვლის ბოლოს ბატონმა ვახტანგმა მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორებსა და სულისჩამდგმელებს.

გია (ელგუჯა) გვაზავა, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: *„ნანახით გაოცებული დავრჩი, ეს ანსამბლი უნდა ნახონ არა მარტო აფხაზებმა, არამედ მთელმა მსოფლიომ. პატარა ვირტუოზებმა საოცარი კომპოზიციით, არტისტულობითა და მომხიბლველობით მოაჯადოეს მაყურებელი. ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ ეს ბავშვები უდიდესი სიყვარულითა და შემართებით გამოხატავენ ყოველი ჩვენგანის სათქმელს ხელოვნების ენით. მჯერა, ისინი თავიანთ წვლილს შეიტანენ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დარეგულირებაში“.*

დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი: *„დიდ მადლობას ვუხდი პროექტის ორგანიზატორებსა და მხარდამჭერებს ამ საოცარი ღონისძიებისათვის. აღტაცებას ვერ ვმალავ, ემოციებით ვარ დატვირთული. მიხარია, რომ დარბაზში, ჩვენთან ერთად, აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლების მოსწავლეები არიან. მათ ამ ბავშვებს გადასცეს უდიდესი მუხტი აფხაზეთის სიყვარულისა. ეს ბავშვები უნდა ნახოს ყველამ და დარწმუნდნენ, რომ ჩვენ სიძულვილის ენით კი არ ვლაპარაკობთ, არამედ მშვიდობისა და მიმტევებლობის ენით“.*

ბელა კოპალიანი, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრის პირველი მოადგილე, პროექტის ორგანიზატორი: *„მაყურებლისა და ღონისძიების მონაწილეების ემოციები გადამედო. ასეთი ერთიანობა სცენისა და მაყურებლისა, იშვიათად მინახავს. ამ ბავშვებს სამართლიანად ვუწოდე მშვიდობის რესურსები. აქ წარმოდგენილი შემოქმედებითი გუნდი აუცილებლად უნდა იქნეს ჩართული ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესში. სამშვიდობო რესურსის ძიება გაგრძელდება, რადგან ეს მნიშვნელოვანია ქართველი და აფხაზი ერის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის“.*

ნენე კალანდია, აფხაზეთიდან დევნილ პირთა საერთაშორისო ორგანიზაცია „აფხაზეთის“ თავმჯდომარე, პროექტის ორგანიზატორი: *„ვამაყობ, რომ ეს ბავშვები ჩემი აღმოჩენაა. ფოთში, დასავლეთ საქართველოს ფოლკლორული ანსამბლების ფესტივალზე „ოქროს საწმისი“ , ჟიურის წევრად ვიყავი მიწვეული. დამაინტერესა ამ ანსამბლმა. აღმოჩნდა, რომ აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეები იყვნენ. მათ მე გავუკაფე გზა ბულგარეთში საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად. დიდ მადლობას ვუხდი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს – ვახტანგ ყოლბაიას, ნდობისა და შერიგების საკითხებში მინისტრის პირველ მოადგილეს – ბელა კოპალიანს, მარტვილის №2 საჯარო სკოლის დირექტორს – მამუკა თვალაძეს, ქორეოგრაფს – პაატა ბართიას, პედაგოგებსა და მშობლებს. აგრეთვე მათ, ვინც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა ანსამბლის სულიერი და ფიზიკური განვითარების საქმეში“.*

მამუკა თვალაძე, მარტვილის №2 საჯარო სკოლის დირექტორი: *„ვამაყობ ჩემი მოსწავლეებით. ეს ბავშვები დაუღალავი ენერგიითა და შემართებით აღნევენ წარმატებებს. მართლაც დიდი რესურსები არიან მშვიდობის. დიდი მადლობა ყველას, მათი წარმოჩენისათვის; განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ნენე კალანდიას, ამ ბავშვების მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის; დიდი მადლობა ქორეოგრაფს, რომლის დაუღალავმა შრომამაც შედეგი გამოიღო და ბავშვებს გზა გაუკაფა წარმატებისაკენ“.*

პაატა ბართია, ქორეოგრაფი: *„აღფრთოვანებული ვარ ჩემი ბავშვებით, ჩვენ ერთობლივი შრომით მივაღწიეთ წარმატებას. ვიცი, რომ კულტურას საზღვრები არა აქვს და დარწმუნებილი ვარ, მომავალში ამ ბავშვებს მშობლიურ აფხაზეთში, აფხაზეთის მთავრობის ხელშეწყობით, სოხუმის სცენაზე იხილავთ“.*

ლეილა თორია, პროექტის თანაორგანიზატორი: *„მოვიხიბლე ამ ბავშვების მსახიობური ნიჭით, ისინი ნებისმიერ სცენას დაამშვენებენ. ანსამბლმა ცეკვით, სიმღერითა და ლექსით გამოხატა საქართველოს გაერთიანებისა და აფხაზეთში დაბრუნების სურვილი“.*

ლეილა ბაღბაია, პროექტის თანაორგანიზატორი: *„როდესაც ქალბატონმა ნენემ ამ პროექტის თანაორგანიზატორობა შემომთავაზა, სიხარულით დავთანხმდი. აღფრთოვანებული დავრჩი ბავშვების ხელოვნებით. მათ ყველა გააოცეს. განსაკუთრებული მადლობა პაატა ბართიას, რომ არა მისი შრომა, აფხაზეთიდან დევნილი მოზარდები ასე ემოციურად ვერ მოიტანდნენ თავიანთ ნაფიქრალსა და განცდილს ჩვენამდე“.*

აღფრთოვანებული მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს მშვიდობის პატარა მაძიებლებს, რომლებიც მეგრული სიმღერის „აბა ულა“ ფონზე შინ, აფხაზეთში დაბრუნების რწმენით ტოვებდნენ სცენას. მათ ხომ საქართველოს ულამაზესი კუთხეების – ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური – ურთიერთობების აღსადგენად ხელოვნების ენა აირჩიეს, როგორც მშვიდობის რესურსი ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის.

მედეა ზუხბაია

სასკოლო აქტივობა

აკაკი და ზეპირსიტყვიერება

23 იანვარს, ა.ი.პ. „საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში“ (დირექტორი – **ბერიკა დეკანოიძე**), ფოლკლორის მუნიციპალური კლუბის „თავთუხები“ (ხელმძღვანელი – უფროსი სპეციალისტი **ნანი ენუქიძე**) ინიციატივით, ჩატარდა დიდი მგოსნის, „საქართველოს ორფეოსის“ – აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175-ე და გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი მრავალწახნაგოვანი თეორიული კონფერენცია თემაზე – „აკაკი და ზეპირსიტყვიერება“.

კონფერენციას ესწრებოდნენ: საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი **მალხაზ ბაზაძე**, საკრებულოს ჰუმანიტარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან ივანიშვილი**, საკრებულოს დეპუტატი **რუსუდან ნოზაძე**, ქალაქის მერიიდან – **მარინა დემეტრაშვილი**, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. ღონისძიებაზე, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ხელმძღვანელი მუშაკები, პედაგოგები და უფროსკლასელი მოსწავლეები დამსწრეთა უმრავლესობას შეადგენდნენ.

აკაკის პოეზიის მწვერვალის – „განთიადის“ ჩანაწერის მოსმენამ და ფილმმა „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ მსმენელთა ამაღლებული სულიერი განწყობა შექმნა.

ღონისძიებაზე შესავალი სიტყვით და მისალმებით გამოვიდა საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი **ბერიკა დეკანოიძე**.

კონფერენციის თემაზე ვრცლად ისაუბრა ღონისძიების ხელმძღვანელმა **ნანი ენუქიძემ**. საინტერესო იყო სკოლების პედაგოგთა და მოსწავლეთა გამოსვლები: **მზია დეკანოიძე** – საჩხერის მე-2 საჯარო სკოლა, **ირმა კრაველიძე** – ჭალის საჯარო სკოლა, **ნათელა ხომასურიძე** – ჩიხის საჯარო სკოლა, **ნესტან შეყლაშვილი** – კორბოულის სისვაძეების უბნის საჯარო სკოლა, **ია დარბაიძე** – ორღულის საჯარო სკოლა, **იზო მაჭარაშვილი** – საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი, **ტასო ფარქოსაძე** – ჩიხის საჯარო სკოლის მოსწავლე, **ია ნოზაძე** – ჯალაურთის საჯარო სკოლის მოსწავლე, **გიორგი ცუხიშვილი** – ჩიხის საჯარო სკოლის მოსწავლე.

ღონისძიებას ამშვენებდა აკაკის ლექსებზე შექმნილი სიმღერები, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგების – **გაგა გულიაშვილის**, **ლია დარბაიძის**, **ხათუნი აბრამიშვილის**, **მანანა აბრამიშვილისა** და **ზურაბ გელაშვილის** შესრულებით.

საღამოს ხიბლი შემატეს საესტრადო სიმღერების სტუდია „სხივების“ მოსამზადებელი ჯგუფის პატარა შემსრულებლებმა (ხელმძღვანელი – **გაგა გულიაშვილი**).

საინტერესოდ და ორიგინალურად შესრულდა მოსწრებული სიტყვა-პასუხები აკაკის ნაკვესებიდან და ლექსებიდან, რომლებიც წარმოადგინეს „თავთუხებისა“ და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მხატვრული კითხვის წრის (ხელმძღვანელი – **ნანი ენუქიძე**) მოსწავლეებმა: **ანა გაბაძემ**, **თამარ მწყერაშვილმა**, **იზაბელა სადღობელაშვილმა**, **მეგი გოგუაძემ**, **თემურ ჭიტაძემ**, **ნინო ლაშხმა**, **გიორგი ნამგლაძემ**, **მეგი კესარელმა**. დასასრულს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა მონაწილეებს „სამახსოვრო ბარათები “გადასცა. ღონისძიება აკაკის უკვდავი „სულიკოს“ ჰანგებით დასრულდა.

ლია ალავიძე
ა.ი.პ. საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში

მე რომ სკოლის დირექტორი ვიყო

ჩვენს სკოლაში დამკვიდრებული დემოკრატიული მართვის სტილი პედაგოგებს გვაძლევს საშუალებას, მოსწავლეებს გავუჩინოთ სწავლა-აღზრდის პროცესში თანამონაწილეობის განცდა. ჩემთვის, როგორც ინგლისური ენის პედაგოგისთვის, მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციის ამაღლება, ისე ყოველ მათგანში სკოლისადმი სოლიდარობის, ნამდვილი გულშემატკივრის აღზრდა. ამიტომაც შევარჩიე X^3 კლასში გაკვეთილის თემად „თანამედროვე სკოლა“, რაც დიდი დისკუსიის საბაბი აღმოჩნდა, რადგან მეათეკლასელები ხშირად გამოთქვამენ შენიშვნებს სკოლის მართვის პრობლემებზე, განსაკუთრებით არ მოსწონთ სკოლის მოძველებული ინფრასტრუქტურა. მათი ენით თუ ვიტყვი, სკოლა ამ მხრივ 60-იან წლებშია ჩარჩენილი. გადავწყვიტე, მოსწავლეები ჩამეყენებინა სკოლის დირექტორის პოზიციაში, რათა კარგად გაეაზრებინათ, როგორც სკოლის თანამედროვე ხელმძღვანელის მძიმე ხვედრი და პასუხისმგებლობა, ისე თავიანთი როლი და მისია სკოლის საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში. სწორედ ამიტომ დავგეგმე საგაკვეთილო დისკუსია „მე რომ სკოლის დირექტორი ვიყო“. გაკვეთილს ესწრებოდა ქალბატონი **გულიკო ხორბალაძე**, რომელიც ოთხი თვეა რაც ჩვენი სკოლის დირექტორია. დისკუსიის მონაწილეებმა ისაუბრეს სკოლის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებაზე, გამოთქვეს სურვილები და წინადადებები. აი, რას გვპირდებიან ისინი „დირექტორად“ არჩევის შემთხვევაში:

ხშირად ჩაატარებენ კლასებს შორის ინტელექტუალურ შეჯიბრებებს „რა, სად, როდის“. სისტემატურად გამართავენ არაფორმალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან, მოისმენენ მათ რეალურ გულისტკივილს; პრიზებით თუ სიგელებით ნაახალისებენ არა მარტო სწავლაში წარმატებულ მოსწავლეებს, არამედ სხვა უნარ-ჩვევებით გამორჩეულებს – სასპორტო, საქველმოქმედო და კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორებს; დააარსებენ უფასო შემოქმედებით წრეებსა თუ კლუბებს, მათ შორის, ხელგარჯილობის, ლიტერატურულ, მებაღეობის, სპორტულ, ფოტომოყვარულთა და სხვა სახის გაერთიანებებს, სადაც მოსწავლეები მოძებნიან საკუთარ „მე“-ს.

მსჯელობის დროს, დისკუსიის მონაწილეებმა სკოლის განვითარების საკვანძო საკითხები დაასახელეს, კერძოდ:

- სკოლის შენობაში სარემონტო სამუშაოების ჩატარების პრობლემა, რადგან მიაჩნიათ, რომ მოსწავლეს არ უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ჭერიდან ბათქაში ჩამოიყრება ან კიბის ჩამოტეხილ საფეხურზე წაიქცევა;
- კეთილმოწყობილი სასადილო, სადაც მოსწავლეები დანაყრდებიან და არა დერეფნებში, როგორც ახლაა;
- სათანადოდ აღჭურვილი სპორტული დარბაზი;
- შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკა;
- კლასები ასე გულისმომკვლელად არ უნდა გამოიყურებოდეს, რადგან ბავშვები აქ ატარებენ დროის დიდ ნაწილს;
- მასწავლებლის შრომაც მეტად უნდა იყოს დაფასებული (დაბალი ანაზღაურების გამო არაპრესტიჟულად მიიჩნევენ და არ აპირებენ, აირჩიონ ეს პროფესია).

უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეებს მხოლოდ მოთხოვნები არ წამოუყენებიათ. თუ სკოლის ადმინისტრაცია შეიძენს საჭირო რესურსს, ისინი თავიანთ წვლილს შეიტანენ სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში, საკუთარი ძალებით შეარემონტებენ საკლასო ოთახებს, სკოლის ეზოში გააშენებენ ბაღს, დარგავენ და მოუვლიან მცენარეებს.

დასახული მიზანი შესრულდა – მოსწავლეებმა იგლისურ ენაზე სამეტყველო უნარების წარმოჩენით შეძლეს არა მხოლოდ სკოლის საჭირბოროტო თემების გაშლა და მათზე მსჯელობა, არამედ თავიანთ მოქალაქეობრივ ვალად ჩათვალეს პრობლემური საკითხების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა.

ჩვენი მოსწავლეები XXI საუკუნის ახალგაზრდები არიან, კარგად ესმით სიტყვა „თანამედროვე სკოლის“ მნიშვნელობა. ისინი კითხულობენ, ეძიებენ, იკვლევენ, პროექტებს ამზადებენ, პროგრესულად აზროვნებენ.

მოხარული ვარ, რომ მათ მიერ გამოთქმული გულრწფელი აზრები, შეხედულებები გაზიარებულ იქნა სკოლის დირექტორის მიერ, რომელმაც დასახა სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა. მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ასეთი თანამშრომლობა უთუოდ სასიკეთოდ წაადგება ჩვენი მოსწავლეების სწავლა-აღზრდის საქმეს.

მანანა მკალავიშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი

მშობელთა კრება

რატომ უნდა იყოს ბავშვისთვის მშობელი თანატოლზე მნიშვნელოვანი

მომზადებულია კანადელი ფსიქოლოგის გორდონ ნიუფელდის ნაშრომის მიხედვით

თანატოლებზე ორიენტაცია აჩლუნგებს ინტეგრაციულ აზროვნებას

თვითმოტივაციისთვის აუცილებელია ინტეგრაციული აზროვნება – აზროვნება, რომელსაც შეუძლია, ერთდროულად მოიცვას ურთიერთსაპირისპირო აზრები და გრძნობები. როცა ბავშვს კარგად აქვს განვითარებული ინტეგრაციული აზროვნების უნარი, სკოლის გაცდენის სურვილს ერწყმის მოუსვენრობა გაცდენილი გაკვეთილების გამო, ხოლო დილით კარგად გამოძინების მოთხოვნილებას – გაკვეთილზე დაგვიანების შიში; წარმატების სურვილი თრგუნავს გაკვეთილზე ცელქობის სურვილს, უსიამოვნებათა შიში კი – დაუმორჩილებლობისას.

ინტეგრაციული სწავლება წარმატებულად რომ მიმდინარეობდეს, ბავშვი საკმაოდ მოწიფული უნდა იყოს, რათა გაუმკლავდეს გაუბედობას – ის მშვიდად უნდა განიცდიდეს შერეულ გრძნობებს, ფიქრის შედეგად იცვლიდეს აზრს, გრძნობდეს განსხვავებულ ემოციებს. გამაწონასწორებელი ელემენტის გამოსავლენად ბავშვს სჭირდება ძლიერი მიჯაჭვულობა. სწორედ გამაწონასწორებელი ელემენტია ის, რაც სწავლებაზე ნეგატიურად მოქმედ იმპულსებს თრგუნავს. ბავშვს უნდა შესწევდეს უნარი, შეიგრძნოს ღრმად და მტკივნეულად. მაგალითად, ის იმდენად უნდა იყოს მიჯაჭვული მშობლებს ან მასწავლებლებს, რომ აღელვებდეს მათი აზრი, მათდამი განწყობა, შეფასებები, მოლოდინი და ის ფაქტი, ხომ არ დასცილდნენ მას უფროსები. მოსწავლე ემოციურად უნდა იყოს დაინტერესებული სწავლით, შემეცნების პროცესი მისთვის საინტერესო უნდა იყოს. გულგრილობა სწავლების პროცესის პარალიზებას ახდენს და შეუძლებელს ხდის ბავშვის განსწავლას. ინტეგრაციული აზროვნება აუცილებელია იმისთვის, რომ სწავლა არ იქცეს უბრალო ზეპირობად. ამოცანის ამოსახსნელად ბავშვი რამდენიმე პროექციაში უნდა აზროვნებდეს – მხოლოდ ფაქტებს კი არ ხედავდეს, არამედ სწვდებოდეს საგანთა და მოვლენათა არსს, ესმოდეს მათი აზრი, აღიქვამდეს მეტაფორებს, შეეძლოს ძირითადი კანონების აღმოჩენა. მოსწავლემ უნდა იცოდეს, როგორ დაინახოს მთავარი და „ჩამოაცილოს“ მას მეორეხარისხოვანი და პირიქით, შეეძლოს ნაწილებისგან ჰარმონიული მთელის აგება. ყველაფერი, რაც კონკრეტული აზროვნების ჩარჩოებს სცილდება, ინტეგრაციულ აზროვნებას მოითხოვს. ისევე, როგორც სივრცითი მხედველობისთვის გვჭირდება ორი თვალი, სრულფასოვანი სწავლებისთვისაც აუცილებელია საგნების, მინიმუმ, ორი მხრიდან დანახვის უნარი. როცა აზროვნება ერთგანზომილებიანია, იგი მოკლებულია სიღრმესა და პერსპექტივას. ამგვარად მოაზროვნე ადამიანს არ გააჩნია სინთეზისა და ანალიზის, ჭეშმარიტებისა და ღრმა აზრის წვდომის უნარი, არ შეუძლია კონტექსტის გათვალისწინება, ერთმანეთისგან ვერ არჩევს ხატსა და ფონს. ნიჭიერება იმთავითვე არ გულისხმობს ინტეგრაციული აზროვნების არსებობას. ინტეგრაციული აზროვნება ზრდის პროდუქტია, თანატოლებზე ორიენტაცია მას მხოლოდ აფერხებს. უმნიფარ ადამიანს არ შეუძლია, ინტეგრაციული აზროვნების უნარი განივითაროს. სამწუხაროდ, პედაგოგიკა და სასწავლო გეგმა ხშირად ორიენტირებულია ინტეგრაციული უნარის როგორც საწყისი მოცემულობის არსებობაზე. ამავე დროს პედაგოგები ვერ გრძნობენ, რა აკლიათ ბავშვებს, ვერ ხვდებიან, რას ეჯახებიან, როცა მათი აზროვნებისა და ქცევის რეგულირებას ცდილობენ. უფროსები აიძულებენ ბავშვებს რაღაცის კეთებას, თუმცა ეს მათ გონებრივ შესაძლებლობებს აღემატება, და როცა შედეგს ვერ იღებენ, სჯიან მათ წარუმატებლობის გამო. მას, ვისაც ინტეგრაციული აზროვნება აქვს, მიაჩნია, რომ ყველა მასავით აზროვნებს, თუმცა თანამედროვე მოსწავლეებზე ამას ვერ ვიტყვით. ბავშვები, რომელთაც არ გააჩნიათ ინტეგრაციული აზროვნება, არ არიან მგრძნობიარენი აღზრდის არსებული მეთოდების მიმართ, მათთან სხვაგვარი მიდგომაა საჭირო. თანატოლებზე ორიენტირებული მოზარდები, როგორც წესი, სუსტი მოსწავლეები არიან, მათი აზრები, გრძნობები, ქმედებები გაუწონასწორებელია.

თანატოლებზე ორიენტაცია მასწავლებლებს მოსწავლეებს ართმევს

მოწიფულ ახალგაზრდებს სწავლაში მიჯაჭვულობა ეხმარება. რაც უფრო ნაკლები აქვს ბავშვს ჩამოყალიბების ენერგია, ინტეგრაციული და ადაპტაციური უნარი, მით მეტადაა ის დამოკიდებული მიჯაჭვულობაზე. სწორედ მიჯაჭვულობის წყალობით ახერხებენ მშობლები და მასწავლებლები ბავშვის ყურადღების მიპყრობას, მისი პატივისცემის მოპოვებას, ბავშვის გარდაქმნას დამჯერ არსებად, რაც აუცილებელია წარმატებული სწავლებისთვის. უფროსებზე ორიენტირებული ბავშვები მათ უყურებენ როგორც ორიენტირებს, რომელთა მიხედვითაც შეიძლება განსაზღვრო, საით და როგორ იმოძრაო. ამ შემთხვევაში ბავშვები მასწავლებლის ერთგულნი უფრო იქნებიან, ვიდრე თანატოლებისა და აღიქვამენ მას მისაბაძ პიროვნებად, ავტორიტეტად, შთაგონების წყაროდ. ბავშვების მიჯაჭვულობა მასწავლებელს სძენს ბუნებრივ ძალას, აკონტროლოს მათი ქცევა, გაუღვიძოს კეთილი ზრახვები, შთაუნერგოს საზოგადოებრივი ფასეულობები. ვინ იქნება მასწავლებლის როლში თანატოლებზე ორიენტირებული ბავშვისთვის? რა თქმა უნდა, არა მასწავლებელი. როცა ბავშვი თანატოლებზეა ორიენტირებული, ნამდვილი სწავლება მიმდინარეობს სკოლის გარეთ და იმას, რასაც იგი სწავლობს, არაფერი აქვს საერთო სასწავლო პროცესთან. მხოლოდ იმიტომ, რომ მასწავლებელი სერტიფიცირებულია, ბავშვი მას ავტომატურად არ მიეჯაჭვება, არ მიენდობა. როცა მიჯაჭვულობა გამრუდებულია, მასწავლებელი უსარგებლო ხდება, რა ნასწავლი, მიზანსწრაფული და პატივცემულიც არ უნდა იყოს. რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ გვინდა დამცირება მასწავლებლისა, რომელსაც თავისი საქმე გულწრფელად უყვარს, აქვს კარგი განათლება, მდიდარი გამოცდილება, სათანადო სასწავლო გეგმა და წვდომა თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებზე, თუმცა ეს ყველაფერი არ არის საკმარისი ბავშვების ყურადღების მოსაპოვებლად; ბავშვები უკეთ სწავლობენ, როცა მასწავლებელი უყვართ და მიაჩნიათ, რომ ისიც იმავე გრძნობით პასუხობს. როგორც ცნობილია, გზა ბავშვის აზრებისკენ მის გრძნობებზე გადის.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში შეინიშნება მიდრეკილება განათლების იდეალიზაციისადმი, ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევა, რომ ბავშვები კარგად ისწავლიან იმ მასწავლებელთან, რომლისადმი მიჯაჭვულობასაც გრძნობენ.

უკვე რამდენიმე ათწლეულია შეინიშნება მცდელობა, მიიღონ სარგებელი სწავლების სამი უმთავრესი სახისგან, რომელთა მიზანია, შეიქმნას სივრცე მოსწავლეთა ინტერესებისთვის, მათი ინდივიდუალობის, ურთიერთდამოკიდებულებისა და უპირატესობების განვითარებისთვის. თუ ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არა იმიტომ, რომ იმთავითვე მცდარი იყო, არამედ იმიტომ, რომ თანატოლებზე ორიენტაციამ მოსწავლე შეუვალი გახადა მათ მიმართ. ბავშვები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან თანატოლებზე, ავტომატურად ხდებიან მოსწავლეები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მიჯაჭვულობაზე, რომელსაც არ გააჩნია ჩამოყალიბების ენერგია და უუნარონი არიან ადაპტაციური და ინტეგრაციული სწავლებისადმი. პრობლემა ის არის, რომ არასწორ კალაპოტში მიმართული მიჯაჭვულობა ბავშვს უბიძგებს სწავლების მცდარი გზისკენ და არა იმ „მასწავლებლებისკენ“. კონსერვატიული განათლების მომხრეები ვარაუდობენ, რომ განათლებისადმი თანამედროვე მიდგომები კრახს განიცდის, ანარქიას, უპატივცემულობას და დაუჯერებლობას თესავს. მრავალ ადამიანს კი მზერა ოკეანისკენ, ევროპისა და აზიის ავტორიტეტული და სტრუქტურირებული საგანმანათლებლო სისტემებისკენ მიუპყრია. თუმცა ეს ადამიანები არ ითვალისწინებენ, რომ განათლებისადმი ტრადიციული მიდგომები ეფექტურია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც უფროსებისადმი მიჯაჭვულობა ჯერ კიდევ არ არის დამახინჯებული. ამ სისტემებშიც კი შიშვლდება სუსტი ადგილები, როცა ირღვევა მიჯაჭვულობის ტრადიციული იერარქია. ნიუფელდი იხსენებს, როგორ გახდა ამის მოწმე იაპონიაში, სადაც ის, როგორც ექსპერტი, განათლებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე იყო მიწვეული. კონფერენციაზე განიხილებოდა განათლების ავტორიტარული სისტემის პრობლემები. არც ერთი პოსტინდუსტრიული სისტემა არ არის დაცული ამისგან. როცა ეკონომიკას კულტურასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება, ნგრევა გარდაუვალია და ძველი მიჯაჭვულობაც ქრება. მასწავლებლებს, რომლებიც სწავლების ავტორიტარულ მეთოდებს ემხრობიან, ჯერ კიდევ არ გაუცნობიერებიათ, რომ სწავლების პროცესს აადვილებდა არა იძულება, არამედ კავშირი. ჩვენს განათლების სისტემას უნდა ჰქონდეს არა მარტო ჩამოყალიბების, ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესების გამოყენების უნარი, სადაც ეს შესაძლებელია, არამედ უზრუნველყოფდეს კიდეც კავშირებისა და დამოკიდებულებათა სისტემის მხარდაჭერას, რათა მოსწავლეების მიჯაჭვულობა შეინარჩუნოს. მოძველებული ავტორიტარული მეთოდი მხოლოდ გააუარესებს მდგომარეობას. თუ გავითვალისწინებთ, რომ თანატოლებზე ორიენტაცია დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს საგანმანათლებლო სისტემაზე, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ განგაში უნდა ავტეხოთ და სიტუაციის შეცვლა ან, სულ ცოტა, ამ პროცესის შეფერხება მაინც ვცადოთ. სინამდვილეში კი ჩვენ, მშობლები და მასწავლებლები, ფაქტობრივად ხელს ვუწყობთ ამ გამოვლინებას და მის შემდგომ განვითარებას. განათლებისადმი ჩვენმა პიროვნულად ორიენტირებულმა მიდგომამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ბავშვების სწავლებისას რეალური სასურველში გვერევა, ხოლო პატარების სურვილები – მათ მოთხოვნებში. აღმოცენდა საშიში მითი იმის თაობაზე, რომ პატარები ყველაზე უკეთ სწავლობენ თანატოლებისგან. ეს მართლაც ასეა, ნაწილობრივ იმის გამო, რომ თანატოლების მიბაძვა უფრო ადვილია, ვიდრე უფროსებისა, მაგრამ უმთავრესად იმიტომ, რომ ბავშვები თანატოლებზე ორიენტირებულები გახდნენ. თუმცა პატარები ერთმანეთისგან ვერ ისწავლიან განსჯის ფასს, ინდივიდუალობის მნიშვნელობას, ბუნების საიდუმლოს, მეცნიერების მიღწევებს, ადამიანური ყოფის საფუძვლებს, ისტორიის გაკვეთილებს, მათემატიკურ ლოგიკას, ტრაგედიის არსს. ისინი ვერ გაიგებენ, რა თვისებები ახასიათებს ადამიანს, როგორ გავხდეთ ადამიანური, რა საჭიროა კანონი, რას ნიშნავს იყო დიდსულოვანი. თანატოლებისგან ბავშვები ისწავლიან მათ მსგავსად ლაპარაკს, სიარულს, ჩაცმას... ერთი სიტყვით, ისინი ისწავლიან შეგუებასა და იმიტირებას. თანატოლებზე ორიენტირებული მოსწავლეები მასწავლებლებზე ნაკლებად დამოკიდებულები ხდებიან. ეს, უდავოდ, მრავალ გადატვირთულ მასწავლებელს გაახარებს. სამწუხაროდ, ასეთი მოსწავლეები წარმატებას ვერ მიაღწევენ. ცნება „პედაგოგი“ გულისხმობს ადამიანს, რომელიც წინ მიუძღვის ბავშვებს. მასწავლებელს მაშინ შეუძლია გაძღოლა, როცა ბავშვები მას მიჰყვებიან. ბავშვები კი მხოლოდ იმ მასწავლებელს გაჰყვებიან, რომლის მიმართაც მიჯაჭვულობას გრძნობენ. მასწავლებლები სულ უფრო ხშირად არიან ორიენტირებულნი მოსწავლეებზე, მათ გადასცემენ მართვის სადავეებს, რითაც საფრთხეს უქმნიან პედაგოგიკის არსს. თანატოლებზე ორიენტაცია ახალგაზრდების სწავლების ისედაც არცთუ ადვილ პროცესს კიდევ უფრო ართულებს და მასწავლებლების მორალურ სულისკვეთებას, სტრესისადმი მედეგობას და ფიზიკურ ჯანმრთელობასაც კი მძიმე დარტყმას აყენებს. თანატოლებზე ორიენტაცია მოსწავლეს გულგრილს ხდის მასწავლებელთა ჩანაფიქრისადმი და აიძულებს, მუდმივი საბოტაჟი მოუწყოს სასწავლო პროცესს. მუდმივ წინააღმდეგობასთან შეჯახება გადაღლისკენ მიმავალი გზაა. უფრო გამკაცრება არ არის გამოსავალი. ერთადერთი ხერხი სწავლების გასაადვილებლად მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებაა. მიზნის მისაღწევად მასწავლებელმა მოსწავლეებს თვალები უნდა აუხილოს. ამისთვის კი, უპირველესად, მათი გული უნდა დაიპყროს. ახლა კი უკანასკნელი შენიშვნა განათლების თაობაზე. ვიწრო სპეციალიზაციისა და ექსპერტების ეპოქაში შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სწავლება მხოლოდ მასწავლებლის მოვალეობაა. ამავე დროს, თუ გავაცნობიერებთ მიჯაჭვულობის როლს სწავლების პროცესის გაიოლებასა და თანატოლებზე ორიენტაციის თავიდან აცილებაში, დავინახავთ, რომ ახალგაზრდების განათლება მოქალაქეობრივი ვალის ნაწილია. ის თანაბრად იყოფა მშობლებს, მასწავლებლებს, ბავშვებთან ურთიერთობის მქონე ყველა მოზრდილ ადამიანსა და მათ შორის, ვინც ქმნის ხასიათს კულტურისა და ჩვენი საზოგადოებისა, რომელშიც იზრდება და ვითარდება ბავშვი.

მარიკა დვალი

mkurnali.ge

სპორტი

ექიმები არ ხუმრობენ

გასული წლის ბოლოს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელოვნურსაფარიან საფეხბურთო მოედანზე, წარსულში ცნობილი „დინამოელების“ – ოთარ გაბელიას და დავით მუჯირის – სახელობის მინი-საფეხბურთო ტურნირი გაიმართა, რომელშიც ქართველი მედიკოსებით დაკომპლექტებული საუკეთესო გუნდები მონაწილეობდნენ, კერძოდ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა; „ავერსი-გეოფარმი“; „ეი-ბი-სი ფარმაცია“; ს/კ კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი; კარდიოლოგიური კლინიკა „გული“; ონკოლოგიური კლინიკა „აბელოფი“; „PSP-ნიუ ჰოსპიტალსი“.

საფინალო მატჩში ერთმანეთს ნახევარფინალში გამარჯვებული გუნდები – იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა და „ავერსი-გეოფარმი“ – შეხვდნენ. უნდა აღინიშნოს მედიკოს ფეხბურთელთა ბრძოლისუნარიანობა, გამოვლინდნენ მოაზროვნე და ნიჭიერი ფეხბურთელები. საბოლოო გამარჯვება იაშვილის სახელობის გუნდს ხვდა, მესამე ადგილი კი ქირურგიის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის დირექტორს, ბატონ **შოთა ჯოგლიძესა** და „ავერსი-გეოფარმის“ წარმომადგენელს, ბატონ **დავით კომაიძეს** აქტიურობისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე გუნდი, ჯანდაცვის სამინისტროს გუნდთან ერთად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მინი-ფეხბურთის სტადიონზე ვარჯიშობდა და ემზადებოდა.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად **ზურაბ ძაგანია** დასახელდა, საუკეთესო მეკარედ – **რევაზ მანჯგალაძე** (იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკიდან); საუკეთესო ბომბარდირი, ცხრა გატანილი ბურთით, **პაატა მაღრაძე** („ავერსი“) გახდა.

გამარჯვებული გუნდები დააჯილდოვეს თსსუ-ს სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა **ზაურ ფხალაძემ** და მთავარმა მსაჯმა, ტურნირის ორგანიზატორმა, საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ, **ვახტანგ ბაქანიძემ**.

6 იმამი მაშადში

წინა კვირას ქართველმა ჭაბუკმა მოჭიდაველებმა წარმატებით იასპარეზეს ირანულ მაშადში, „იადიგარ იმამის თასზე“, სადაც ჩვენგან ორივე სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გამოდიოდა – ბერძნულ-რომაულიც და „თავისუფალიც“. საერთო ჯამში, მათ 6 მედალი მოიპოვეს – თითო ოქრო-ვერცხლი და 4 ბრინჯაო. აქედან 1 ოქრო და 2 ბრინჯაო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მონაგარია. მათგან ჩემპიონი **ზურაბ ურთაშვილი** (100) გახდა, ვინც ფინალში მასპინძელთა ლიდერი, ამავე ასაკში მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **ნაიმ რაჰიმ ჰასანზადე** დაამარცხა. ბრინჯაოს მედლები **გიორგი ხაჩიძემ** (46) და **თორნიკე კვინიკაძემ** (63) მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ურთაშვილმა, ორიოდე კვირის წინ, ბაქოში, მუშვიგ ისაევის მემორიალზეც მოიპოვა მედალი, ოღონდ მაშინ კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა. ამ გუნდიდან კიდევ ერთი ბრინჯაოს მოპოვება **დემურ მეგენეიშვილსაც** (76) შეეძლო, მაგრამ გადამწყვეტი პაექრობა მასპინძელთა ფალავანთან დათმო და მეხუთეზე დარჩა.

მაშადში ზუსტად ასეთი შედეგის მიღწევა შეეძლოთ ქართველ ბერძენ-რომაელებსაც, მაგრამ ერთი მოგება დააკლდათ. მათ 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოინადავლეს. ფინალში გავიდა ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ნიკოლოზ ჭიკაიძე** (69), მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა სომეხ **არტურ ალექსანიანთან** დათმო და ვერცხლს დასჯერდა. ბრინჯაოს მედლებს **თემურ ჭკუასელიძე** (76) და **ბექა მაკარიძე** (100) დაეუფლნენ. ერთი მეხუთეადგილოსანი ამ გუნდსაც ჰყავს – **იური აბულაძე** (54), ვინც გადამწყვეტი პაექრობა ისევ მასპინძელთან წააგო.

ციგურაობა მეხუთე ადგილით

ევროპის ჯუჯა-სახელმწიფო ლიხტენშტაინში დამთავრდა კონტინენტის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც საქართველო მოკრძალებული, ოთხკაციანი გუნდით გამოდიოდა. მათგან დიდ შედეგს არავინ ელოდა და მედალი არც მოუპოვებიათ, თუმცა მაინც იყო ერთი გამონაკლისი, რის გამოც ეს სპორტული ღონისძიება აქტივში ჩაგვეთვლება – ფიგურულად მოციგურავე **ირაკლი მაისურაძის** გამოსვლა. წინა ნომერში გაცნობეთ, რომ ის, თავისუფალი პროგრამის შემდეგ, მეხუთე ადგილზე იყო. ეს მიღწევა მან მოკლე პროგრამაში ვერ გაუმჯობესა, თუმცა არც გაუუარესებია და საბოლოო ჩათვლაშიც ამავე პოზიციაზე, მეხუთეზე დარჩა. ევროპის მასშტაბით საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა წარუმატებლობა ისეც არაა, მაგრამ ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, უკმაყოფილოც არ უნდა ვიყოთ. მართალია, უმედლოდ დარჩენა არც წარმატებაა, მაგრამ როცა ქვეყანაში ერთი ხეირიანი ბაზაც არაა, სადაც სპორტსმენი პირველხარისხოვანი შეჯიბრებისთვის მოემზადება, ასეთი გამოსვლაც არაა ურიგო. **ელენე გედევანიშვილის, ვახტანგ მურვანიძისა** თუ სხვა პერსპექტიული ქართველი მოციგურავეების მსგავსად, მაისურაძეც უცხოეთში ვარჯიშობს და იქ ემზადება. როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა** გვითხრა, მაისურაძემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მის გამოსვლას ეტყობოდა საკმაოდ მაღალი კლასი; იგრძნობოდა, რომ მზად იყო მედლის მოსაპოვებლად.

სამწუხაროდ, მაისურაძეს ჩვენი გუნდის სხვა წევრებმა მხარი ვერ აუბეს – სამთო მოთხილამურეები, **გიორგი კურტანიძე** და **ბესარიონ ჯაფარიძე**, ბოლო ათეულში მოხვდნენ, სნოუბორდისტი **ლუკა რურუა** კი ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა შეჯიბრებას.

მთლიანობაში, ძირითადად მაისურაძის გამოსვლის გამო, ჩვენთვის ეს თამაშები წინამორბედზე უკეთესი გამოდგა. ზოგადად, ამ ტიპის თამაშებში მხოლოდ ერთხელ მოვიპოვეთ მედალი, რაც 1999 წელს მურვანიძემ შეძლო, როცა მეორეზე გავიდა და ვერცხლი დაიმსახურა.

ამ თამაშებს ცოტა უცნაური ისტორია დაჰყვა თან – ოფიციალურ მასპინძლად ლიხტენშტაინია მითითებული, თუმცა ჩატარების ადგილად ფორარლბერგია დაფიქსირებული, რომელიც ტერიტორიულად... ავსტრიის სამთო კურორტია. და მართლაც – სპორტის ბევრ სახეობას ავსტრიამ უმასპინძლა, რადგან ჯუჯა სახელმწიფოში სათანადო ბაზები არ არსებობდა. მაგალითად, ჩვენი სამთომოთხილამურეები ლიხტენშტაინში სრიალებდნენ, მაისურაძემ კი ავსტრიელებს უჩვენა თავისი ოსტატობა. ეს ფესტივალი იმ ღონისძიების ზამთრის ანალოგიაა, რომელიც ივლისის ბოლოს თბილისში უნდა გაიმართოს. ვიქონიოთ იმედი, რომ ახალგაზრდული ფესტივალი ჩვენთანაც ისეთივე წარმატებით ჩატარდება, როგორც ეს ავსტრია-ლიხტენშტაინმა შეძლო.

კალათბურთელები არაოფიციალურ მსოფლიოზე იგებენ

საქართველოს 16-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრები თურქეთის ქალაქ კონიაში საერთაშორისო ტურნირში გამოდის, სადაც უკვე ჩაატარა სამი პაექრობა. აქედან 2 მოიგო და ერთში დამარცხდა.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის შეგირდებმა, პირველ შეხვედრაში, ჩერნოგორიის გუნდი გაანადგურეს – 72:53. მეორე მატჩი ჩერნოგორიაზე მეტი თუ არა, არანაკლები საკალათბურთო ტრადიციების მქონე საფრანგეთთან დათმეს კიდევ უფრო დიდი სხვაობით – 33:79, მესამე ორთაბრძოლაში კი პრინციპული მეტოქე – რუსეთი 71:66 დაჯაბნეს.

ამ შეხვედრებში ჩვენმა ნაკრებმა მებრძოლი სულიც გამოავლინა. მაგალითად, ჩერნოგორიელებთან პირველი პერიოდი 13:18 წააგეს, მაგრამ არ გატყდნენ, იპოვეს საკუთარი თამაში და შეხვედრა მოგებამდე მიიყვანეს. საინტერესოა, რომ მესამე პერიოდი ჩვენებმა 20:3 მოიგეს და შეხვედრის ბედიც აქ გადაწყდა.

ფრანგებთან ჩვენს ლიდერებს თამაში არ წაუვიდათ და ვერაფრით გააჩერეს მათი ფავორიტები. ჩერქეზიშვილის სამწყსო პირველივე პერიოდიდან ჩამორჩა – 6:27 და ზედიზედ მეორე სასწაულის მოხდენა ვერ შეძლო. ვერაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობას ფრანგთა ზოგიერთი მოთამაშის რეალურ ასაკზე ეჭვი კი გაუჩნდა. ასაკის გადაკეთება საფრანგეთში ამ ბოლო პერიოდში გახდა აქტუალური აზია-აფრიკიდან მიძალებული ემიგრანტების ხარჯზე და გამორიცხული მართლაც არაფერია...

ქართველებმა რუსებთან ისევ გამოაჩინეს ბრჭყალები – ჩვენებმა მხოლოდ ბოლო პერიოდი წააგეს, როცა უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. ამ შეხვედრაში კვლავ გაიბრწყინა **გოგა ბითაძემ**, ვინც ჩერნოგორიასთანაც საუკეთესო იყო. იმ შეხვედრაში ტანმაღალმა ცენტრმა 23 ქულა ჩააგდო, ბურთი 18(!)-ჯერ მოხსნა, რასაც 3 დაფარება და 2 პასი დაუმატა. თამაში მან ისე ჩაამთავრა, ბურთი ერთხელაც არ დაუკარგავს. არადა, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ მეტოქე სუსტი იყო და ამიტომ წაუვიდა ასე კარგად თამაში – ჩერნოგორია ყოფილი იუგოსლავიური საკალათბურთო სკოლის წარმომადგენელია და უფროსებიდან მოყოლებული, ნებისმიერ ასაკში ძლიერი გუნდები ჰყავს. სასიხარულოა, რომ ასეთ ძლიერ მეტოქესთან ჭიდილში 10-ქულიან მიჯნას ჩვენი გუნდის კიდევ სამმა წევრმა გადააბიჯა – **კოკა ფიფიამ**, **ნიკა ჩეჩელაშვილმა** და **ზაურ ჯანელიძემ** 13-13 ქულით დაასრულეს თამაში.

კონიაში საქართველოს ნაკრები მომდევნო შეხვედრას ლიტვასთან გამართავდა, მერე კი ლატვიასთან რჩებოდა მატჩი. სამი ტურის შემდეგ ჩვენები ჯგუფში მეორე ადგილს იყოფდნენ სწორედ ლიტვასთან ერთად. თვით ამ გუნდების ჩამონათვალიც ადასტურებს, კონიაში რაოდენ ძლიერი ტურნირი იმართება, თუმცა ეს მხოლოდ B ჯგუფია, A-ში კი არანაკლები კოჰორტაა თავმოყრილი – სერბეთი, იტალია, ბოსნია, თავად თურქეთი, გერმანია და უდიდესი საკალათბურთო პოტენციალის მქონე მზარდი ჩინეთი. ამ ტურნირს სრულიად დამსახურებულად უწოდეს მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი – ლიდერთაგან მას აშშ, ესპანეთი, არგენტინა და კიდევ 2-3 გუნდი თუ აკლია.

ამ შეჯიბრებას ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის იყენებს, რომელიც 6-16 აგვისტოს სოფიაში გაიმართება. იქ ჩვენები C ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მათ გარდა იქნებიან ბელგია, ლუქსემბურგი, შვეიცარია, ბელორუსი და უნგრეთი.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თვრო — მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური პლაკატები
დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. სოფლახალხო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

თემატური პლაკატები
მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საქანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) I, II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ჭიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი
4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

მიმდინარეობს ხელმოწერა

- თეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი** ახალი
- მიგელ დელიბესი - **ორი რომანი** ახალი
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან *ინტელექტი სკოლას*

ფასი – 15 ლარი

გამომცემლობა „დიოგენე“

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბერიოზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

ქიმია

განახლებული

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 8 ლარი

გეოგრაფია

განახლებული

საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 8 ლარი

ბიოლოგია

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ისტორია

საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ფიზიკა

განახლებული

საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 8 ლარი

ისტორია

ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა

ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ბიოლოგია

ახალი

აბიტურიენტებისთვის
ლ. ბურდილაძე,
ნ. სიხარულიძე,
ქ. მაღრაძე,
დ. ნაზირიშვილი
პირველი ნაწილი – 10 ლარი
მეორე ნაწილი – 10 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >